პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

№ 89 შაბათი, 21 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 89

დღიური

რუსეთის კომუნისტური პარტიის ყრილობამ ერთხმად მიიღო ცენტრალურ კომიტეტის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია ცეკას საორგანიზაციო ანგარიშის შესახებ.

ესსენში მოხდა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია, რომლის დროს მოჰკლეს და დასჭრეს რამდენიმე კაცი.

საოკუპაციო ჯარმა კიდევ დაიკავა რამდენიმე სადგური და მაღარო.

ამსტერდამს და პარიზს შორის მოეწყო საჰაერო პირდაპირი მიმოსვლა.

უნგრეთში გრძელდება კომუნისტების პროცესი.

შაბათს, 21 აპრილს, საღამოს 5 საათზე,

შესდგება

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) 1923 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
2) ქალ. თბილისში საბინაო ქირის ახალი ნორმების დამტკიცება.
3) ქალაქის აბანოებში და ტრამვაიზე ნიხრის გადიდება.
4) მიმდინარე კითხვები.

აღმასკომის ყველა წევრებისათვის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

კრ. 334—2—1 პრეზიდიუმი.

პირველი მაისისათვის

1 მაისი—შრომის და მშრომელთა ძალა-უფლებისათვის ბრძოლის დღესასწაულია.

(თეზისები)

1. ძველ საერთაშორისო მუშათა დღესასწაულს—1 მაისს აქვს დღეს თავისი 34 წლის ისტორია.

1889 წელს პარიზში გაიმართა სოციალისტურ პარტიების საერთაშორისო კონგრესი, სადაც დაარსდა მე-2 ინტერნაციონალი. ამ კონგრესის გადაწყვეტილებათა შორის იყო ის, რათა ყველა ქვეყნების მუშებმა ყოველ წლიურად განსაზღვრულ დღეს წარუდგინონ თავიანთ დამქირავებელთ და მბრძანებლებს მოთხოვნილება 8 საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ, რისთვისაც კონგრესმა წინადადება მისცა მუშებს მოაწყონ ყველა ქვეყნებში მანიფესტაციები. ამგვარად პირველი მაისი გახდა **მსოფლიო პროლეტარულ დღესასწაულად**.

2. მუშების მიერ 1-ლ მაისის პირველსავე დღესასწაულმა შეაშფოთა კაპიტალისტები. იმათ სისწორით იგრძნეს ამაში ყველა ქვეყნების პროლეტარების კლასიურ სოლიდარობის გამოხატულება, მომავალი საფრთხე თავისი ბატონობისა, თვით მთელი ბურჟუაზიული მსოფლიოს არსებობის საფრთხე. ბევრ ქალაქებში—პარიზში, ვენაში და სხვ. მსხვილი კაპიტალისტები აგროვებდენ 1 მაისის დღესასწაულის წინ თავიანთ ფაჭკეულობას და კაპიტალს და იჩქაროდენ მიეტოვებიათ სატახტო ქალაქები და თავი შეეფარებინათ უმნიშვნელო ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ გაბატონებული იყო პატრიარქალური ურთიერთობა ბატონებსა და მსახურთა შორის.

3. რუსეთის პროლეტარიატმაც დაიწყო თავისი 1 მაისის დღესასწაულის გამართვა 90 იან წლებიდან და ჩვეულებრივ კარგა ხნის წინად 1 მაისამდე იწყებოდა ყველა ძალების მობილიზაცია ორივ მხრით.—ჩხრეკა, დაპატიმრებანი, კრებების გარეკა და დახვრეტა ერთის მხრივ. ფურცლები, პროკლამაციები, არალეგალური კრებები და სხდომები მეორეს მხრივ. ასეთი იყო რუსეთის 1 მაისობის ჩვეულებრივი სურათი თვითმპყრობელობის დროს.

1905 წლის რუსეთის პირველ რევოლიუციამდე.

4. 1905 წელს—რუსეთის პირველ რევოლიუციის წელს,—ბუნებრივად უნდა მიეცა ფართო გასაქანი პირველი მაისის დღესასწაულისათვის. მაისის დემონსტრაციები ამ დღეს გაიმართა რუსეთის თითქმის ყველა სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში.

გამოშვებულ იქნა დიდძალი პროკლამაციები.

1906 წელს 1 მაისის დღესასწაული გახდა რუსეთის მთელი მუშათა კლასის საერთო დღესასწაულად ამ დღეს მასიურ დემონსტრაციებმა მიიღო არაჩვეულებრივი გასაქანი. 1907 წლიდან 1912 წლამდე რეაქციის გამარჯვების გამო, მუშათა მოძრაობის ტალღა თან და თან მცირდებოდა და ბოლოს სრულიად გაქრა.

5. 1912 წელი არის უკვე აშკარა გარდატეხის წელიწადი, მუშათა კლასის რევოლიუციონური ენერგიის აშკარა გაძლიერების წელი. მაისის გაფიცვა პეტერბურგში ვრცელდება დაახლოვებით—100,000 მუშაზე. ნევის პროსპექტზე იმართება დემონსტრაცია წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით. პირველი მაისის დღესასწაულები და გაფიცვები იმართება ამ წელს რუსეთის ბევრ სხვა ქალაქებში. 13 14 წელს პირველი მაისის დღესასწაული უფრო საგრძნობლად ტარდება მთელ რუსეთში.

6. იმპერიალისტურმა ომმა 15 და 16 წელს ძალიან შეაფერხა პირველი მაისის დღესასწაული თითქმის ყველა ქვეყნებში. მუშათა ნამდვილი რევოლიუციონური მოძრაობა წაშლილი იქნა შოვინისტური ქარიშხალით, რომელიც მოედო მთელ მსოფლიოს 1914 წელს. როგორც ხუხულა გაცამტვერდა მუშათა საერთაშორისო გაერთიანება—2 ინტერნაციონალი. ღვარძლიანი ირონიით გაისმოდა სიტყვები „მუშათა სოლიდარობის შესახებ“. ამ ომის წლებში მხოლოდ ნამდვილ რევოლიუციონურად განწყობილი მუშები წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ თავიანთ წინამძღოლებს,—გამცემლებს და ხელახლა შეუდგენ ნამდვილი რევოლიუციონურ ინტერნაციონალის დამშენებლობას, რომლის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ციმერვალდსა და კინტალში გამართული კონფერენციები.

7. ახალ ცხოვრების განთიადის პირველი გასხივოსნება მსოფლიო ფონზე იყო თებერვლის რევოლიუცია რუსეთში 1917 წელს. ამ წელს 1 მაისი „იდღესასწაულა ყველამ“, რადგან მას არ ქონდა მაშინ აშკარად გამოხატული პროლეტარულ დღესასწაულის ხასიათი. ფაქტიურად ეს იყო „საერთო სახალხო“ არა კლასიური დღესასწაული.

8. რუსეთის ოქტომბრის ქარიშხალმა გამოფანტა თვალთმაქცურ და გამცემელ წვრილ ბურჟუაზიულ (მენშევიკების და ესერების) პარტიების ის შეხუთული ატმოსფერა. კლასიურ პროლეტარულ დღესასწაულად პირველი მაისი ხელახლა ხდება ჩვენში 1918 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატი ერთბაშათ და სამუდამოთ ჩამოშორდა სხვა კლასებს, როგორც მან დასწერა თავის დროშაზე თავის წმინდა კლასიურ პროლეტარულ რევოლიუციის ლოზუნგები, და ამ მიზნით დაარსა 19 წელში, მთელ მსოფლიოს მოწინავე მუშების ახალი, რევოლიუციონური და მებრძოლი შტაბი.

მესამე ინტერნაციონალი.

9. საქართველოს მუშები 21 წლამდე იმყოფებოდენ ქართველი წვრილ ბურჟუაზიულ პარტიის—მენშევიკების ზეგავლენის ქვეშ და ჩამოშორებული იყვენ დაახლოვებით 3 წლის განმავლობაში, როგორც პროლეტარულ რევოლიუციისაგან ისე მისი შტაბის—**3-ე ინტერნაციონალისაგან** იმ დროს როდესაც 3-ე ინტერნაციონალი იკრობდა მსოფლიოს ყველა მოწინავე მუშების და ჩაგრულ ხალხთა ყურადღებას, ქართველ მუშებს და გლეხებს არ შეეძლოთ არ გაეგოთ თავიანთ წინანდელ წინამძღოლების—მენშევიკების მატყუარობა და გამცემლობა. და ჰპოვეს გამოსავალი საქართველოს გასაბჭოებაში, მიანდეს რა თავისი ბედი მუშათა და ჩაგრულ ხალხთა ინტერესების ნამდვილ დამცველს—მე-3 ინტერნაციონალს.

10. საქართველოს მშრომელნი ეხლა უკვე მესამეჯერ დღესასწაულობენ სრულიად თავისუფლად თავიანთ მუშათა საერთაშორისო დღესასწაულს. ისინი დღესასწაულობენ მას დიამეტრალურად საწინააღმდეგო პირობებში, ვიდრე დასავლეთ ევროპის და ამერიკის მუშები. საბჭოთა ქვეყნებში, სადაც მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება უკვე პროლეტარიატის ხელშია, 1 მაისის დღესასწაულს აქვს პროლეტარიატის გამარჯვების ზეიმის ხასიათი, კაპიტალიზმს და მისი ბატონობის ნებით თუ უნებლიეთ დამცველების სხვა და სხვა ჯურის მენშევიკების წინააღმდეგ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელ ბრძოლის შემდეგ.

11. სულ სხვა ხასიათი უნდა ჰქონდეს მას და ექნება კიდეც დასავლეთ ევროპასა და საერთოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში, იქ ამ ჟამად სწარმოებს გონება-დაკარგულ კაპიტალის უცერემონიო და დაუზოგავი შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ მთელ ფრონტზე, როგორც ეკონომიურზე, ისე პოლიტიკურზე. კაპიტალისტები ყველგან ამცირებენ ხელფასს, ადიდებენ სამუშაო დღეს, სადაც ამას ახერხებენ ლეგალური გზით, მაგრამ მუშები ადვილად არ სთმობენ თავიანთ პოზიციებს, რომელიც მათ დაიპყრეს ექსპლოატატორებთან ხანგრძლივი ბრძოლით, ამიტომ ბურჟუაზია მიმართავს „არალეგალურ“ საშუალებას—ფაშისტურ ორგანიზაციებს და მათი დახმარებით ახდენს სახელმწიფოებრივ გადატრიალებას, მხოლოდ და მხოლოდ მუშების წინააღმდეგ. ამის თვალსაჩინო მაგალითია იტალია ფაშისტების—შეფის მუსოლინის მეთაურობით. იტალიის მაგალითის მიხედვით ფაშისტური ორგანიზაციები იწყობა სხვა ქვეყნებშიაც (გერმანია, საფრანგეთი, ჩეხო-სლოვაკია, და სხ.) სადაც ბურჟუაზია არც ისე მკვიდრათ გრძნობს თავს.

12. ამას თან ერთვის კიდევ ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხე. საფრანგეთის იმპერიალისტების ჯარებმა დაიკავეს მთელი რურის ოლქი, გერმანიის მთავარი სათბობი მასალათა ნერვი. საფრანგეთის კაპიტალისტები სჩადიან დაუჯერებელ უწესოებას და ძალადობას რურის მუშების მიმართ. ყოველ ნაბიჯზე საფრანგეთის ოკუპანტები მცირეოდენი წინააღმდეგობისათვის ხვრეტავენ მუშებს. ესსენის სისხლის ღვრა—არის საუკეთესო მაგალითი უწესოების და ძალადობის რომელსაც სჩადის საფრანგეთის გამხეცებული ბურჟუაზია ბ-ნ ვანდერველდეს და კომპანიის ლოცვა კურთხევით, რომელნიც უკვე კარგა ხანია ღალატობენ მუშათა კლასს.

13. მაგრამ ეს ოკუპაცია არ აძლევს სასურველ შედეგებს საფრანგეთის კაპიტალს: მხოლოდ ერთი ოკუპაციით ის ვერ აღწევს მიზანს, ის გაცილებით მეტს ხარჯავს რურის ოლქის ძალდატანებით ექსპლოატაციაზე, ვიდრე მას აქვს აქედან შემოსავალი: რურის მუშები, მიუხედავათ დაუჯერებელი ძალადობისა და რეპრესიებისა ფრაზების მხრივ, მაინც არ ნებდებიან. ოკუპაციით იმედ გაცრუებული საფრანგეთის იმპერიალისტები ფიქრობენ გადასდგან გაბედული ნაბიჯი მით უმეტეს, რომ გერმანიის აღმოსავლეთით მათ ჰყავთ ისეთი ერთგული მოკავშირე, როგორც პოლონეთი, რომელიც აგრეთვე ილესავს კბილებს გერმანიაზე.. ჰაერი იჟღინთება თოფის წამლის სუნით... პოლონეთში საფრანგეთის კაპიტალის ბრძანებით დაიწყო მობილიზაცია, სამხედრო ძალების მეთაურად ინიშნებიან საფრანგეთის კადრის ოფიცრები. ამ ქვეყნების მუშათა კლასს არ შეუძლია ამის მოთმენა... იგი უნდა გამოვიდეს გაბედულად ამის წინააღმდეგ.

14. ყველა ქვეყნების მენშევიკებმა და საერთოთ რეფორმისტებმა 1 მაისის დღესასწაული გადააქციეს ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ დღესასწაულად, ბურჟუაზიულ ზეიმად, საერთაშორისო კაპიტალის გულის მოსაგებად.

ამას საწინააღმდეგოთ რევოლიუციონური მუშები გახდიან მას **მუშათა კლასის ყველა ფენების ერთობის** და საერთაშორისო ფაშიზმის და ახალი იმპერიალისტური სისხლის ღვრის წინააღმდეგ **რევოლიუციონური ბრძოლის** გამოხატულებათ.

ამიტომ პირველი მაისის ლოზუნგებათ უნდა იყოს:

ძირს ფაშიზმი!

ძირს რურის ოლქის ოკუპაცია!

გაუმარჯოს შრომის განთავისუფლების დღესასწაულს!

გაუმარჯოს ერთიან პროლეტარულ ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ყველა ქვეყნებში!

საქართველოს კომპარტიის ცენტ. კომიტეტის სააგიტ. საპროპაგ. განყოფილება.

საბინაო საკითხი

საბინაო საკითხი ისევ მწვავედ დგას ჩვენს წინაშე. ამ მხრივ კერძოდ თბილისის მდგომარეობა კატასტროფიულს უახლოვდება. უტყუარი სტატისტიკური ცნობების მიხედვით, თბილისის სახლების 91,3 პრ. საჭიროებენ რემონტს საერთოდ, ხოლო მათგან კაპიტალურ რემონტს 56,5 პრ.

ეს გარემოება ფრიად დამაფიქრებელია, მით უფრო, რომ მაშინ, როცა ცხოვრების სხვა დარგებში ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა სწარმოებს, ამ სფეროში, სახლების აღმშენებლობის საქმეში, არ სჩანს წარმატების ნიშნები: სახლების მშენებლობა შეჩერებულია, არ ხდება დახიანებულ შენობების შეკეთება. თანდათან ინგრევა სახლები, მცირდება საცხოვრებლად გამოსადეგ ბინების რაოდენობა.

ეს იმ დროს, როცა თბილისში, რომელიც უმთავრესად გვაქვს მხედველობაში, მცხოვრებთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა

დღევანდელი მოსახლეობა ცოტათი მაინც დამაკმაყოფილებლად ვერ თავსდება არსებულ შენობებში, თუნდაც ის უკანასკნელნი რაციონალურად და თანასწორად იყვნენ განაწილებულნი მცხოვრებთა შორის.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ სხვა და სხვა „კრიზისებზე“, რის გამო ამ სიტყვამ თითქო დაკარგა ჩვენს შემეცნებაში თავისი პირვანდელი აზრი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბინაო საქმე ჩვენში აშკარა კრიტიკულ მდგომარეობაშია, ჩვენ განვიცდით ბინის უდიდეს კრიზისს, ამ სიტყვის სწორი და პირდაპირი მნიშვნელობით.

ამ კრიზისის სიმწვავეს ყველაზე მეტად განიცდიან მშრომელი ელემენტები, მუშა-მოსამსახურენი და ღარიბი მოქალაქენი. მიუხედავად იმისა, რომ მუშებს თავის დროზე დაეთმო არსებულ პირობებში შესაძლებელი მაქსიმალური რაოდენობა სახლების, აგრეთვე მოხდა მათი ჩასახლება კერძო შენობებში,—ამის შემდეგაც დარჩა დიდი ნაწილი მუშების, რომელნიც ბნელ, ნესტიან, საერთოდ ანტიჰიგიენურ ბინებში შევიწროებულად ცხოვრობენ.

საბინაო საქმის ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია. დღეს ხომ მძიმეა ამ მხრივ მდგომარეობა, ხვალ და ზეგ უფრო უარესი იქნება, ჩვენ მოწმენი გავხდებით შენობების მასიური ნგრევის, თუ ამ თავითვე არ იქნა მიღებული რადიკალური და სწრაფი ზომები.

სადაა გამოსავალი?

ამ საკითხის შესახებ ადგილობრივ პრესაში იბეჭდება წერილები; შინაგან საქმეთა კომისარიატთან დაარსებულია საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც იმუშავებს ბინის ახალ ტარიფს.

ახალი საბინაო ტარიფის საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია სახლების მშენებლობის თვალსაზრისით. უდავოა, რომ დღეს ბინები თითქმის მუქთად უკავიათ მცხოვრებთ. ბინის ქირით არამც თუ შეუძლებელია სახლის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან შეკეთების მოხდენა, არამედ მისი მინიმალურ ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ხარჯების გასტუმრება.

ამიტომ აუცილებელია ბინის ახალი ტარიფის გამომუშავება, რომელიც შეფარდებული იქნება დღევანდელ მდგომარეობასთან. თითქმის ყოველ სფეროში ანგარიშის წარმოება შემოღებულია ოქროს ან საქონლის მანეთის მიხედვით. ასე უნდა იყოს ბინის შეფასების დროსაც. ბინაზე უნდა დაარსდეს დაახლოვებით ომამდე არსებული ტარიფები.

როცა ამას ვლაპარაკობთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ კერძო მოქალაქეთ, საზოგადოების შეძლებულ წრეებს, ომის წინანდელი ბინის ფასი სწორედ მათზე უნდა გავრცელდეს.

რაც შეეხება მუშა-მოსამსახურეთ და პროფკავშირების წევრებს, საჭიროა აქ სიფრთხილის გამოჩენა და მათი მატერიალურ ინტერესების სავსებით დაცვა.

მართალია, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია, მაგრამ ჯერ კიდევ შორსაა ომის წინანდელისაგან და არავის მოუვა აზრად მოითხოვოს მათგან გაღება ბინისათვის ომის წინანდელი ფასის. ამასთან აღსანიშნავია, რომ დღეს შესამჩნევად დარღვეულია მუშის გასავლის მუხლებ შორის ძველად არსებული პროპორცია. სურსათსა, მანუფაქტურასა და სხვა აუცილებელ საგნებზე მას უხდება შემოსავლის გაცილებით მეტი პროცენტის გაღება, ვინემ ეს იყო ომამდე. ამიტომ ის ბინისათვის ვერ გადიხდის თავის ბიუჯეტის იმ პროცენტს, რომელსაც წინედ იხდიდა.

მიუხედავად ამისა, ერთგვარი ცვლილება მაინც უნდა იქნას შეტანილი მუშა-მოსამსახურეთათვის დღეს არსებულ საბინაო ფასებში. მათაც უნდა გადაიხადონ მეტი, ვინემ ეს იყო დღემდე, მაგრამ მათი ეკონომიური მდგომარეობისათვის სასტიკი ანგარიშის გაწევით.

ესაა მოვალეობა მუშათა კლასის, რომელმაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საბინაო აღმშენებლობაში.

მთავარი სიმძიმე კი ამ საქმეში, როგორც ვთქვით, უნდა დააწვეს შეძლებულ წრეებს.

ამასთან ჩვენ ხაზს ვუსვამთ ერთ გარემოებას: გადიდებული საბინაო ტარიფი პირველ ყოვლისა უნდა მოხმარდეს სწორედ სახლების აღმშენებლობას და შეკეთებას, და არ შეიქმნეს სახლის პატრონთა სიმდიდრის წყაროდ. ამისათვის კი საჭიროა სათანადო ორგანოების მხრით ფხიზელი და სასტიკი კონტროლის დაწესება.

ამასთან ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სახლების მფლობელობის საქმეში მტკიცე სამოსამართლო გარანტიების გატარება. ეს ხელს შეუწყობს საბინაო მშენებლობას.

ზემო დასახელებული ღონისძიებებით მაინც არ შეიძლება საბინაო კრიზისის დამაკმაყოფილებლად გადაჭრა და სახლების მშენებლობის ფართე მასშტაბით გაშლა.

აუცილებლად საჭიროა ამ საქმეში დიდი და უშუალო მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფომ, კომუნალურმა და სამეურნეო ორგანოებმა. მათ უნდა წაახალისონ, დახმარება აღმოუჩინონ, შეღავათები მისცენ საამშენებლო ამხანაგობებს და კერძო პირებსაც კი. კერძოდ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ სამეურნეო ორგანოების მიერ თავიანთი მუშებისათვის ახალ შენობების აგებას.

საბინაო კრიზისის დასაძლევად, სახლების მშენებლობის გასაშლელად ჩვენ უნდა ავამოძრავოთ ყველა შესაძლებელი საშუალებანი, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო კაპიტალი.

აქაც უნდა გამოვიჩინოთ ის ენერგია, რომელსაც ვიჩენთ ცხოვრების სხვა დარგებში. და ეჭვი არ არის, რომ ამ სფეროშიც მივაღწევთ დადებით შედეგებს, როგორც ვიმარჯვებთ საბჭოთა მშენებლობის სხვა ფრონტებზე.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

მუშების და გლეხების მისალმება.

მოსკოვი. 10 აპრილი. რ. კ. პ. მე-12 ყრილობის დილის სხდომა იხსნება მუშებისა და გლეხების დელეგაციების მისალმებით. იაროსლავის უპარტიო მაზრის მუშებისა და გლეხების სახელით ყრილობას მიესალმა მუშა ტომსოვი, მუშა რაზბუხინი გამოდის ბუდიონის სახელობის ფუზოვის მაღაროს უპარტიო მუშების სახელით, სობოლევი კალინინის სახელობის ჩულკოვის სახელმწიფო მაღაროების მუშებისაგან და კონონოვის ქალი, რომელიც მიესალმა ყრილობას და უძღვნის მას იაროსლავის საფეიქრო ქარხნის „კრასნი პერეკოპი“-ს მუშა-ქალთა სახელით წითელ დროშას.

სილის მანუფაქტურულ ქარხნის „ზარია სოციალიზმა“-ს 8.000 მუშის სახელით ყრილობას მიესალმება მუშა პლატოვი, რომელიც სთხოვს ყრილობას გადასცენ ამხ. ლენინს მუშების მიერ მოქსოვილი მაგიდის საფარი. ბოლოს გამოდიან იაროსლავის მაზრის მუშა-ქალთა და გლეხების დელეგაციები.

ამხ. პეტროვსკის სიტყვა

ჩვენ დავიპყრობთ მთელს დედა-მიწას მსოფლიო კომუნისათვის.

მუშათა მისალმებაზე ყრილობის სახელით პასუხს აძლევს ამხ. პეტროვსკი, რომელსაც სიტყვას აწყვეტინებს ხშირი და მხურვალე აპლოდისმენტები. „ძვირფასო ამხანაგებო, ამბობს ის, ყრილობა სალამს გიძღვნისთ თქვენ და იღებს თქვენ დაკოჟრილ ხელებიდან ყველა დროშებს, რომელსაც უძღვნით თქვენ მუშათა პარტიას მისი არსებობის 25 წლის თავზე. გადაეცით მუშებსა და გლეხებს, ქალებსა და კაცებს, რომ თავის არსებობის 25 წლის განმავლობაში ჩვენი პარტია პირნათლად ემსახურებოდა მუშებს და ღარიბებს გლეხებს. თქვენთან ერთად ჩვენ დავიპყრობთ მთელს დედა-მიწას მსოფლიო კომუნისათვის. გაუმარჯოს რევოლიუციონურ პროლეტარიატს, გლეხებისა და მუშა ქალთა მთლიან პარტიას.

ამხ. ევდოკიმოვის სიტყვა

სალამი კაპიტალისტურ ციხეებში დატყვევებულ რევოლიუციონურ მებრძოლებს,

ამხ. პეტროვსკის შემდეგ გამოდის ამხ. ევდოკიმოვი საპასუხო სიტყვით კომინტერნის წარმომადგენელთა მისალმებაზე, რომელიც საღამოს სხდომაზე იყო წარმოთქმული. „პირველი სიტყვა ჩვენი პარტიისა, ამბობს ამხ. ევდოკიმოვი, პასუხად იმ მისალმებებზე, რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ, მიმართული უნდა იქნეს იმ აუარებელ მებრძოლებისაკენ, ჩვენი საერთო საქმისათვის, რომლებიც ეხლა ჩაყრილი არიან კაპიტალისტურ საპყრობილეების საკნებში.

გერმანიაში, ჯერ კიდევ წარსული წლის შემოდგომაზე, მიუხედავად მთელ რიგ ამნისტიებისა, საპყრობილეებში ისხდნენ 6.000 პოლიტიკური ტუსაღი.

საფრანგეთში რურის ამბების გამო დაპატიმრებული არიან 24 უაქტივესი ხელმძღვანელი საფრანგეთის პროლეტარიატისა, იტალიაში დაპატიმრებულია 3 000 მუშა, რომელთა შორის იმყოფებიან იტალიის კომპარტიის გამოჩენილი ბელადები და კომუნისტურ გაზეთების თითქმის ყველა რედაქტორები“.

„თავისუფლების“ ქვეყნებში.

ბელგიაში, იმ ქვეყანაში, რომლის თავისუფლებებით ასე ტრაბახობდა ბელგიელ მუშების წინ. ვანდერველდე, ეხლა ტრიალებს გააფთრებული კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ. ინგლისის „დემოკრატიული“ მთავრობა უმუშევრებს ატყვევებს იმისთვის, რომ მათ გაბედეს ლუკმა პურის მოთხოვნა. ირლანდიაში ჩვენი პარტიის 12 წევრია ჩაყრილი ციხეებში. ბატონებს არც მათი ვასსალები რჩებიან უკან.

ესპანეთში მუშები ათასობით არიან დატუსაღებულნი, ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიამ კი საგანგებო კანონიც კი მოიგონა კომუნისტების წინააღმდეგ. ჰუნგრეთში, ოფიციალურ ცნობების მიხედვით, ხორტის მთავრობის დროს დატუსაღებული იყვნენ 70,000 მუშა, სიკვდილით დაისაჯა—10,000 მუშა და გაძევნილი იყვნენ 20,000 მუშა. სამხრეთ-სლავიაში, საბერძნეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონიაში ყველგან ხედავთ თქვენ რევოლიუციონურ მუშების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს.

პროლეტარიატის ერთად ერთი ხსნის საშუალებაა—მსოფლიო ოქტომბერი.

ერთად ერთი, ამბობს შემდეგ ამხ. ევდოკიმოვი, პროლეტარიატის გადარჩენის გზა, რა რიგ მძიმე არ იყოს იგი, არის ის გზა, რომელიც აირჩია რუსეთის მუშებმა 1917 წ. ოქტომბერში

ეს გზა მიგვიყვანს გაჭირვების და სისხლის ღვრის შემდეგ მუშათა კლასის განთავისუფლებამდე.

საპატიო თავმჯდომარეები.

ამხ. ევდოკიმოვის წინადადებით ყრილობა ერთხმად ირჩევს ყრილობის საპატიო წევრებათ შემდეგ ამხანაგებს, რომელთაც უკანასკნელ ხანში განიცადეს დევნა ბურჟუაზიის მხრივ: გერმანიისაგან—ამხ. ცეტკინს და მალცის, საფრანგეთისაგან—კაშენს, მონმუსოს, მარანს, ჟაკობს და სხვ., იტალიისაგან—ბორდიგას, სერრატის, ლაგარის, მონტის, კოლანტოს, ამერიკასაგან—ფოსტერს და რუტენბერგს, ბელგიისაგან—ოვერსტრალენს და გრაკმანდს.

კამათი ცეკას მოხსენების გამო.

ამხ. კასიორის სიტყვა.

საჭიროა თვითმოქმედება.

მისალმებათა შემდეგ ყრილობა გადადის საქმიან მუშაობაზე. დღის წესრიგშია კამათი რუსეთის კომპარტიის ცეკას მოხსენების გამო. სიტყვა ეძლევა ამხ. კასიორს, რომელიც ეხება პარტიის შინაურ მდგომარეობას და აგრეთვე იმ საკითხს, რა წარმატებას მიაღწია პარტიამ თავის აქტივობის და თვითმოქმედების განვითარების მხრივ.

პარტიის აქტივობა.

პარტიის აქტივობაო, ამბობს ორატორი, საჭიროა იმისათვის, რათა ბრძოლა ვაწარმოოთ საორგანიზაციო ხასიათის ნაკლულოვანებებსა და გადახვევებთან პარტიის შიგნით. პარტიას, რომელმაც ხელში აიღო ძალა-უფლება, არ შეუძლია აიცილოს შეცდომები, მხოლოდ პარტიის თვითმოქმედებას შეუძლია ამ შეცდომების თავიდან აშორება და პარტიის დაშლისათვის ხელის შეშლა.

ცეკა სადარაჯოზეა.

კასიორის შემდეგ გამოსული ორატორი ფიქრობს, რომ კამათი მოხსენების გამო საჭირო იყო დაგვეწყო ამხ. ლენინის წერილიდან 2-ე ყრილობაზეო, ამბობს ის, ზოგიერთები ლაპარაკობდენ, რომ საჭიროა საკონტროლო კომისიების გაუქმება. ამ ჟამად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რეორგანიზაცია მოვახდინოთ ამ საქმეში. ცენტრალურ კომისიის წევრებმა უნდა შეასრულონ ის, რაზედაც ლაპარაკობს ამხანაგი ტროცკი, უკანასკნელ წერილში: „Кончик большого вопроса“.

მე ვფიქრობ, რომ ცეკას წევრები უნდა იყვნენ არა მარტო ინსპექტორები, არამედ თავიდან უნდა აიშორონ ის საჩივრები, რომელიც მათ სახელზე შემოდის.

ამხ. ურივაევის სიტყვა

პარტიამ კიდევ უფრო მაგრად უნდა მოჰკიდოს ხელი სახელმწიფო აპარატს.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ურივაევს. „ზოგიერთი ამხანაგები ძალიან ელასტიურად იწყებენ, ამბობს ის ლაპარაკს პარტიის მცირეოდენ შეჯახებაზე ჩვენი სახელმწიფო აპარატის საერთო მმართველობასთან. მე, როგორც სამეურნეო მუშაკს, დამებადა აზრი. ერთი წლის მუშაობის პროცესში, რომ ჩვენმა პარტიამ დღის კიდევ უფრო მაგრად უნდა მოჰკიდოს ხელი სახელმწიფო აპარატის საერთო ხელმძღვანელობას (ხმები „ვაშა“, ტაში). გადაჭრით და გაბედულად უნდა ვსთქვათ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. ჩვენ არ უნდა დავტოვოთ დაცვის გარეშე არც ერთი ნაწილი ჩვენი პარტიული ორგანიზმისა“.

ამხ. ლარინის სიტყვა

ქალაქი და სოფელი.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ლარინს, რომელიც აღნიშნავს, რომ გაზეთების ფურცლებზე დასმული საკითხი სოფელთან დაახლოვების შესახებ, არის არა მუშათა და გლეხთა კავშირის გათიშვა-მუქარა, არამედ იმ საშუალებათა გაძლიერების პირობა, რომელიც ხელს შეუწყობდა სახალხო მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებას.

ამხ. ზელენკის სიტყვა

ცეკას ქონდა სწორი ხაზი. ჩვენი პარტია გაიმტკიცდა.

შემდეგ გამოდის ამხ. ზელენკი. „მე ვფიქრობ, რომ ყრილობამ უნდა სთქვას თავისი სიტყვა და გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება იმისადმი, რათა ერთის მხრივ ფართოთ იქნას განხილული ყველა საკითხები პარტიის ჩარჩოებში, და ამავე დროს იბრძოლოს ყოველგვარ ჯგუფების წინააღმდეგ, რომელნიც შეარყევენ პარტიის მთლიანობას“.

ჩვენ, მოსკოველ ამხანაგებს უფრო ახლო კავშირი გვაქვს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოქმედებასთან. ის ამხანაგები, რომლებიც იცნობენ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას, იტყვიან, რომ ც. კ. ახლანდელი შემადგენლობა ატარებდა იმ ხაზს, რომელიც არის გაგრძელება ჩვენი პოლიტიკის 1903 წლიდან. გლეხობასა და პროლეტარიატს შორის კავშირის შესახებ ცენტრალურ კომიტეტს გარკვეული პოლიტიკა ქონდა.

ჩვენი პარტია ძლიერია.

თითეულმა იცის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როცა პარტიული და საბჭოთა მუშაობის ყველა დარგები გაერთიანებულია ერთ მაგარ ხელში. ეს ერთი მაგარი ხელი არის პარტია. პარტიული და საბჭოთა მუშაობის ერთად შეერთება ჩვენი უმთავრესი ამოცანაა. ჩვენი პარტია გამაგრდა წარსულ წელში. წარსულში პარტიაში არ ყოფილა ასეთი გამოცოცხლება, რომელიც ემჩნევა ახლა.

ზევიდან ქვევით.

ეს გამოცოცხლება გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ პარტიული მუშაობის სიმძიმის მთელი ცენტრი ცენტრალური აპარატიდან გადავიტანეთ პირველ საფეხურის ორგანიზაციებში. პარტიის საშუალო წრეები გაიზარდა და ფართე მონაწილეობას იღებს პარტ. საბჭოთა და პროფესიონალურ მოძრაობაში. ამის საუკეთესო დამამტკიცებულია მოსკოვის კონფერენცია.

ეროვნული საკითხი.

ეროვნულ საკითხში პარტია თავის დროზე სწორ პოზიციაზე იდგა, და მხოლოდ იმიტომ, რომ მან სწორად დააყენა ეროვნული საკითხი. ის გამარჯვებული გამოვიდა.

საჭიროა ახალი ძალები

მე ვფიქრობ, რომ ამხ. ლენინის იდეა ც. კ. შემადგენლობის გაფართოების შესახებ სავსებით სწორია იმისათვის, რომ აპარატი მუდამ კანტროლის ქვეშ მუშაობდა საჭიროა ც. კ. ახალი ამხანაგების შეყვანა, რომლებიც ამ მუშაობაში ახალ ნაკადს შეიტანენ. საჭიროა ც. კ. ახალი ცოცხალი ძალების შეყვანა, მაგრამ ამავ დროს უნდა შევინარჩუნოთ მთავარი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ჩვენი პოლიტიკის გატარებას

ამხ. ოსინსკის სიტყვა.

კავშირი გვაქვს.

ამხ. ზელენკის შემდეგ გამოდის ამხ. ოსინსკი, რომელიც ეხება პარტიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საკითხებს. ამხ. ოსინსკი მიუთითებს თავის გამოცდილებაზე პროვინციაში და ამბობს, რომ პერსონალური ურთიერთ კავშირი პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს შორის, ქმნის იმ კავშირს, რომელიც პარტიის წინაში მდგომ ამოცანების შესრულების შესაძლებლობას იძლევა.

ამხ. კრასინის სიტყვა.

საჭიროა გამოცდილების აღრიცხვა.

ამხ. ოსინსკის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. კრასინს. ჩვენი მთავრობა, ამბობს ამხ. კრასინი, მუშაობს მეტად მძიმე პირობებში, რომლებიც შექმნეს ომმა, უცხოეთის ინტერვენციამ და გართულებულმა საერთაშორისო სიტუაციამ. ამ მუშაობისათვის საჭიროა აღრიცხვა მთელი იმ გამოცდილების, რომლებიც მიღებულია აქვთ პარტიულ, პოლიტიკურ, ადმინისტრატიულ და ორგანიზაციულ დარგებში. მთელი სახელმწიფო მუშაობა უნდა ხდებოდეს პარტიის სასტიკი კანტროლის ქვეშ.

ნაკლები ხარჯი მეტი შემოსავალი.

გადადის რა საშინაო მდგომარეობაზე. ამხ. კრასინი მიუთითებს მთავარ საფრთხეზე ჩვენს მრეწველობაში, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ იმაზე მეტს ვხარჯავთ ვიდრე ვქმნით. მრეწველობის გაძლიერება და დაგროვების აუცილებლობა—აი ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი ამოცანები.

მორიგი ამოცანები საგარეო ფრონტზე.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას შეადგენს მაქსიმალური პირობების შექმნა საბჭოთა რუსეთის საცნობათ de jure და აგრეთვე ეკონომიური დახმარების, სესხის და სხ. მიღება. ამ დარგშიც ჩვენი ამოცანის სიმძიმის მთელი ცენტრი წარმოებაშია ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია საზღვარ-გარეთ დახმარების მიღება, რასაც კაპიტალისტები იზამენ თავის ინტერესებში. ჩვენ ვიყენებთ იმ მდგომარეობას, რომ კაპიტალისტები დაინტერესებული არიან ჩვენს დახმარებაში, და ამიტომ ვცდილობდით და ვცდილობთ მივიღოთ ეკონომიური დახმარება.

ჩვენი პრინციპი.

საგარეო პოლიტიკის პრინციპი ასეთია: არავითარი პრინციპიალური დათმობა, არავითარი დათმობა სუვერენიტეტის, ტერიტორიის და ჩვენი კანონმდებლობიდან უკან დახევის სფეროში.

ამხ. რადეკის სიტყვა.

გარკვეული პასუხი.

კრასინის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. რადეკს, რომელიც უპასუხებს იმათ, ვინც ბრალს სდებს ცენტრალ. კომიტეტს იმაში, რომ ის სპობს კრიტიკის საშუალებას.

ამხ. რადეკი ამბობს: „ჩვენ ვიცნობთ სამ ჯგუფს, რომლებიც გამოვიდენ ყრილობის წინ: ეს არის ბროშიურა მიასნიკოვისა, რომელიც უკვე არ არის პარტიის წევრი. ეს ბროშიურა მოითხოვს ახალი პარტიის შექმნას. მეორე არის „მუშათა სიმართლის“ ჯგუფი, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის მთავარ დამსახურებათ აღიარებს, რომ მან გზა გაუხსნა კაპიტალიზმის განვითარებას. მესამე პლატფორმა პარტიულ ნიადაგზე დგას, მაგრამ მისმა ავტორებმა ვერ გაბედეს საჯაროთ გამოსვლა. შეუძლებელია მოეთხოვოს ცენტრალურ კომიტეტს გალაშქრება იმ პირების წინააღმდეგ, რომლებთაც არ შესწევთ გამბედაობა აშკარათ გამოვიდენ.

მეურნეთა კადრი ცეკაში.

აკრიტიკებს რა კრასინის სიტყვას, ამხ. რადეკი ამბობს: „კრასინი აყენებს კითხვას: საჭირია თუ არა ცეკას ამხანაგები, რომლებიც გამოხატვენ პარტიის სამეურნეო გამოცდილებას. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ეკონომიური ორგანიზაციების მთელ რიგს ან ახლო დგანან მათ მუშაობასთან. ამიტომ ლაპარაკი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეურნეების შეყვანაზე, ღია კარების მტვრევაა. უნდა ვთქვა, რომ ბევრ რამეს, რაც ამხ. კრასინმა სთქვა, მე ვეთანხმები. მაგრამ ჩვენ შევძლებთ ახლანდელი მდგომარეობიდან საკუთარი ძალებით გამოსვლას, თუმცა ეს დიდხანს გაგრძელდება. ამიტომ ც. კ. ამბობს: ჩვენ მზად ვართ დათმობაზე, მაგრამ შეთანხმებამ დამონება არ უნდა გამოიწვიოს“.

ამით დამთავრდა ყრილობის დილის სხდომა.

საღამოს სხდომა

ამხ. ჟუკოვის სიტყვა

საჭიროა სიფხიზლე

საღამოს სხდომაზე სიტყვას ამბობს ამხ. ჟუკოვი. „ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენი, ბოლშევიკური ტაქტიკა, როგორც მეტად მოძრავი ტაქტიკა, რომელიც გათვალისწინებულია სხვა და სხვა სიტუაციებისათვის და რთული პირობებისათვის უკომპრომისოთ. დათმობის გარეშე შეუძლებელია რევოლიუციის საქმის გაკეთება, მაგრამ ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ შეუჩნევლად არ მოვწყდეთ რევოლიუციის მთავარ ხაზს. ჩვენს პარტიაში გადახრებს და სხვა და სხვა მიმდინარეობებს ჩვენ შევძლებთ ვებრძოლოთ მხოლოდ კოლექტიურად. ეს კოლექტიური მუშაობა კი მოსახერხებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა კავშირი ხელმძღვანელ აპარატებსა და პარტიულ მუშაკებს შორის ისეთი იქნება, რომ უზრუნველყოფს თანდათანობით და სისტემატიურად მუშაკების ახალი კადრების წამოყენებას. ჩვენ გამოვცადეთ ბურჟუაზიული სპეცები და დავინახეთ თუ რას აკეთებენ ისინი სახელმწიფო აპარატში. ამიტომ ჩვენ უნდა ვიქონიოთ მხოლოდ ჩვენი და შინაგანი პარტიული ძალების იმედი.

ამხ. პრეობრაჟენსკის სიტყვა.

სიტყვა ეძლევა ამხ. პრეობრაჟენსკის. მას შემდეგ, ამბობს ამხ. პრეობრაჟენსკი, რაც გამოვიდა ამხ. ლენინის ბროშიურა, გავიდა ორი წელი. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მოხდა ის ახალი, რაც უკვე სჩანს ჩვენს ეკონომიკაში და გავლენას იქონიებს ჩვენს პოლიტიკაზე. ეს მოვლენა ჩვენ ზედმიწევნით უნდა შევისწავლოთ.

ორი საფრთხე.

გადადის რა პარტიის დამოკიდებულებაზე სამეურნეო ორგანოებთან. ამხ. პრეობრაჟენსკი ამბობს: „ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ჩვენ ორი საფრთხე მოგველის. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ სანამ ჩვენ მსხვილ მრეწველობას არ

ძალუმ მტკიცედ დგომა და კერძო კაპიტალის დაღრჩობა, ეს კაპიტალი საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის. მეორე საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ, როცა საქონლის მეურნეობას აქვს თავისი მიმდინარეობა, ჩვენი წითელი მრეწველები შეეცდებიან აიშორონ პარტიის კანტროლი“.

ამხ. ლარინის პასუხი.

ეკონომიური დიქტატურა.

ამხ. ოსინსკის უპასუხებს ამხ. ლარინი, რომელიც ამბობს: „ოსინსკი აფრთხილებს ლენინს და ჩვენს პარტიას, რომ ჩვენ არ გადავცეთ ჩვენი მრეწველობა ბურჟუაზიის ხელში. მაგრამ რა პრიმიტიული კრიტიკით არ მიუდგეთ ლენინის ნაწერებს, ჩვენ იქ ვერ ვიპოვით ერთ სიტყვასაც იმის შესახებ, რომ პროლეტარიატმა უარი უნდა სთქვას თავის ეკონომიურ დიქტატურაზე. ლენინი ყოველთვის იცავდა სახელმწიფო კაპიტალიზმის იდეას, ეს იდეა კი გულისხმობს მუშების ხელმძღვანელობას წარმოებაზე“. ეს არის ლენინის ძირითადი იდეა.

ამხ. საფაროვის სიტყვა.

სიტყვა ეძლევა ამხ. საფაროვს, რომელიც ამბობს: სად არის მთავარი მომენტი, რამდენათაც ლაპარაკია მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის შესახებ. საკითხის ცენტრია—პურზე ფასების დაცემა. ფასების დაცემ ს შესაძლოა მოჰყვეს გარკვეული პოლიტიკური შედეგები. ამ დროს გამოდის ლარინი და ამბობს, რომ რუსეთის დიდი ნაწილი დაინტერესებულია, რომ პურზე ფასებმა არ აიწიოს. ასეთია ის აზრი, რომელიც ცდილობს პარტიას დააჩრდილოს ძირითადი, კონკრეტიული კითხვები, ამიტომ ეს აზრი მავნეა.

მცირე დასვენების შემდეგ დილის სხდომაზე კასსიორის, კრასინის და ოსინსკის სიტყვების კრიტიკით გამოდიან ამხანაგები ევდოკიმოვი და ივანოვი. ცენტრალური კომიტეტის შესახებ კავკასიაში ლაპარაკობენ ამხანაგები ბ. მდივანი და მ. ორახელაშვილი.

დილის სხდომა

(19 აპრილი)

ამხ. სოსნოვსკის სიტყვა.

პარტია და მეურნეობა.

19 აპრილის დილის სიტყვებს ამბობენ ამხანაგები მახარაძე და ორჯონიკიძე, რომლებიც ახასიათებენ პარტიის მდგომარეობას საქართველოში.

შემდეგი ორატორი რიუტინი ილაშქრებს ლარინის პოზიციის წინააღმდეგ გლეხობის საკითხში.

მათ შემდეგ სიტყვას ამბობს ამხანაგი სოსნოვსკი: როცა მე ყურს უგდებდი კამათს პარტიის ხელმძღვანელობის შესახებ სახელმწიფო აპარატზე, მე გამახსენდა ახალ-ეკონომიურ პოლიტიკამდე სოფლის ჩარჩების სულიერი განწყობილებაო; მათ არაფერი ქონდათ კომუნიზმის საწინააღმდეგო, თუ ის მათ არ შეეხებოდა. ამის შემდეგ დარჩენილ ბურჟუაზიასაც თითქმის არაფერი აქვს კომუნიზმის წინააღმდეგ იმ პირობით, რომ ის, რაც შეიძლება ნაკლებ შეეხოს მას

კრასინს, ამბობს შემდეგ ამხ. სოსნოვსკი, ეჭვი ეპარება, რომ ჩვენ შევძლებთ საკუთარი საშვალებებით წარმოების აღდგენას და აყენებს საკითხს უცხოეთის კაპიტალის შესახებ წარმოვიდგინოთ, რომ უცხოეთის კაპიტალი მზად არის მოგვცეს ჩვენ ყველაფერი ის, რის მოცემაც კი შეუძლია და უცდის მხოლოდ ჩვენს ნიშანს.

ბურჟუაზიის იმედი ჩვენ არა გვაქვს.

გენუის კონფერენციაზე ამხ. პრეობრაჟენსკი ესაუბრა ცნობილ ეკონომისტს და ფინანსისტს კეინს, რომელმაც გარკვევით სთქვა, რომ ისეთი თანხები, რომელიც საჭიროა რუსეთის აღდგენისათვის, ევროპას არ მოეპოვება და არც შეუძლია მოგვცეს. მე არ ვეთანხმები კრასინს და ვფიქრობ, რომ ჩვენ საკმაოთ ვერ ვაფასებთ საკუთარ რესურსებს.

ჩვენი რესურსები.

გადადის რა მეურნეობის რესურსებზე ამხ. სოსნოვსკი ლაპარაკობს: „მე ვამტკიცებ, რომ ცენტრალური კომიტეტი დამნაშავეა იმაში, რომ ის სათანადოდ ვერ აფასებს ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაძლებლობას თუ გინდ ჩვენი სილარიბის პირობებში.

უნდა დაისვას საკითხი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ. საჭიროა გატარება მთელი რიგი ზომების, რომლებიც მოსახერხებელია ჩვენს პირობებში და მაშინ პურზე დაბალი ფასების და მისი უარყოფითი გავლენის საკითხი ჩვენი სოფლის მეურნეობაზე სულ სხვა სახეს მიიღებდა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დესეტინა მიწამ, რომელიც ახლა 40 ფ. იძლევა მოგვცეს 70 ფ. ამ საკითხს რომ სათანადო ყურადღება მიექცეს, ორ წელში საჭირო შედეგებს მივაღწევდით.

ამხ. ბუხარინის სიტყვა

ტვირთის შემსუბუქება.

უკანასკნელათ სიტყვას ამბობს ამხ. ბუხარინი, რომელიც აკრიტიკებს სხვა და სხვა ორატორებს, რომლებიც კამათში მონაწილეობას იღებდენ. უპასუხებს რა კასიორს, ბუხარინი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი დიდი საფრთხე მდგომარეობს საბჭოთა აპარატზე პარტიის ხელმძღვანელობის მოწყვეტაში. ჩვენი პარტია ახლა უფრო ჯანსაღია, ვიდრე ოდესმე და ძნელი არ არის ამ სიჯანსაღის ეკონომიური საფუძვლის გამონახვა. ჩვენ ყველა ჯგუფებიდან განვირჩეოდით იმით, რომ ამხ. ლენინთან ერთად ვამტკიცებდით: „ჩვენ ვართ იმ ხალხის კავშირი, რომლებმაც შეითვისეს ნებაყოფლობითი გაერთიანება, განსაზღვრული პლატფორმების ნიადაგზე“.

მწარმოებელთა კრიტიკა.

გადადის რა ამხ. კრასინის სიტყვაზე, ბუხარინი ამბობს, რომ ეს სიტყვა წარმოადგენს ე. წ. „წმინდა მწარმოებლების“ თვალსაზრისს. მათ არ აწუხებთ საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი გზით წავა ძალთა განვითარება—სოციალისტურის თუ კაპიტალისტურის, ოღონდ კი ხდებოდეს ამ ძალების განვითარება. ეს არის ინჟენერების თვალსაზრისი. საკითხს, რომ ამ თვალსაზრისით მიუდგეთ, უნდა ვთქვათ, რომ ცენტრალურ კომიტეტში პოლიტიკურ მიმართულების სიმტკიცის შეუმოწმებლათ უნდა დავსვათ მეურნეები.

სოციალისტურ საფუძველზე.

საკითხის ასე დაყენების დროს, ჩვენ ავამაღლებდით მრეწველობას, მაგრამ ეს მოხდებოდა არა სოციალისტურ, არამედ კაპიტალისტურ ნიადაგზე. ჩვენ გვაინტერესებს არა მარტო წარმოების აღდგენა, არამედ ისიც, რომ ეს აღდგენა ხდებოდეს კომუნისტურ სიფუძველზე. ეს არ უნდა დავივიწყოთ ერთი წუთით.

ციხის ნაშუში.

ეხება რა ლარინის სიტყვას, ორატორი ამბობს: არის ხალხი, რომელთა დათმობა ოპორტიუნიზმისაკენ თავისებურ ფორმებს იღებს. საკითხი რომ დაისვას, რომ ჩვენ ვიცავთ მუშათა კლასის ცეხობრივ ინტერესებს, მაშინ მუშათა კლასმა უნდა მიიღოს ვისგანიც შეუძლია და რაც შეუძლება მეტი.

ობიექტიური დაფასებისათვის.

მაგრამ სულ სხვა სახეს იღებს საქმე, როცა ვდგებით გაბატონებული კლასის თვალსაზრისზე, რომელიც მართავს სახელმწიფოს როგორც მისი პატრონი და რომელიც ამიტომ უნდა ანგარიშობდეს თუ რამდენი ბურდღის აცლა შეიძლება ქათამისათვის. აი, სწორეთ ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ ლარინის ოპორტიუნისტული ბუნება შეიმოსა ფერად ფარჩეულებში. საკითხს მიდგომა უნდა არა სუბიექტიური სიმპატიების, არამედ ობიექტიური დაფასების მიხედვით.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

ერთხმად მიღებული რეზოლუცია.

მოსკოვი. 20 აპრილი. 19 აპრილს საღამოს 11 საათზე პარტიულ ყრილობაზე დამთავრდა კამათი ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო. საბოლოო სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგებმა ზინოვიევმა და სტალინმა. ამ სიტყვების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია.

მექსიკა

მიწის ძვრა მექსიკაში.

ბერლინი. 20 აპრილი. მექსიკიდან იტყობინებიან, რომ მთელ მექსიკის სანაპიროებზე ვერა-კრუსსა და სანლუი პოტოსის შორის მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რის გამოც დიდძალი შენობები დაინგრა, პროვინცია გიდალგოში გაქრა მთელი რიგი ყავის პლანტაციები მექსიკის იმავე ნაწილში აღმოჩნდა ახალი ვულკანის კრატერი.

სამხრეთ-სლავიაში

უარს ამბობენ.

პარიზი. 20 აპრილი. ზაგრებში სამხრეთ სლავიის პოლიციის ცდის დროს დაეპატიმრებია გლეხები, რომელთაც უარი განაცხადეს ჯარში შესვლაზე. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულია 2 გლეხი, დაჭრილია 7.

ისპანია.

ისპანეთის დეფიციტი.

პარიზი. 20 აპრილი. ისპანეთის დეფიციტი 1922 წ. უდრის 916 მილიონ პეზეტს.

საფრანგეთ-უნგრეთის საარბიტრაჟო სასამართლო.

პარიზი. 20 აპრილი. ბუდაპეშტში აპირებენ საფრანგეთ-უნგრეთის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოწყობას ამის შესახებ დღეს ბურას თათბირი ქონდა გრაფ ბეტლენთან და უნგრეთის ფინანსთა, ვაჭრობის და საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

ფინეთი.

ფინეთის მთავრობის მემორანდუმის განხილვა.

ჰელსინგფორსი. 16 აპრილი. ფინეთის გაზეთის „ჰუფუდ სტედ ბლადეტის“ ცნობით, ერთა ლიგის საბჭოში კვლავ იხილავენ ფინეთის მთავრობის მემორანდუმს იურიევის ხელშეკრულების მუხლების გამო, რომლებიც შეეხებიან აღმოსავლეთ კარელიის ავტონომიის.

პოლონეთი.

სკრჟინსკი უარყოფს.

პარიზი. 19 აპრილი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი სკრჟინსკი გამოვიდა ვარშავში სიტყვით, რომელშიაც ილაშქრებდა პოლონეთისადმი გერმანიის მხრივ მტრული განწყობილების წინააღმდეგ. სკრჟინსკიმ უარჰყო ხმები, თითქოს მზადდებოდეს პოლონელების შეჭრა ზემო-სილეზიის გერმანიის ნაწილში.

მენშევიკების მიერ მოპარულ ქონების დაბრუნება

ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემი „კილნი“ ბრემენიდან და მოიტანა ის ქონება, რომელიც გაიტანეს მენშევიკებმა გაქცევის დროს.

სულ გატანილია 20.368 ადგ. წონით 165 ათასი ფუთი. ტვირთებს შორის არის რკინის გზის მასალები, ბორბლები, მილები, ღერძები, ფოლადი, თუნუქი, ზამბარაკი, კალა, გრაფიტი, ქაღალდი, სასოფლო სამეურნეო იარაღები და სხვა.

გერმანელი მეზღვაურები გადმოგვცემენ, რომ ბრემენის მუშებმა დატვირთეს გემი რამდენიმე დღით ადრე სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე. შეიდემანელებმა გაავრცელეს ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოში „არ არის კანონიერი მთავრობა და ტვირთი ბანდებს ჩაუვარდებათ ხელშიო“ და სხვა. მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სასამართლოც კი იძულებული იყო აღეარებია, რომ მენშევიკების მიერ გატაცებულ სახალხო ქონების კანონიერ მეპატრონეთ ითვლება საბჭოთა მთავრობა.

მუშა-დამტვირთველები და რკინის გზელები შეუდგენ საქონლის გადმოტვირთვას.

გემ „კილნზე“ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დაესწრენ ნავთსადგურის მუშები, დამტვირთველები, მეზღვაურები, რკინის გზელები.

მიტინგზე გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ მენშევიკების მიერ გატაცებული სახალხო ქონება დააბრუნა გერმანიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ გერმანიის პროლეტარიატის ზეგავლენით და საბჭოთა ხელისუფლების და წითელი არმიის განმტკიცების გამო.

ამ გადაწყვეტილებით ბურჟუაზიამ ფაქტიურად სცნო საქართველოში ერთად-ერთი მთავრობის—საბჭოთა მთავრობის არსებობა.

მენშევიკები—ბურჟუაზიის მოსამსახურენი ჰკარგავენ კრედიტებს ბურჟუაზიულ მთავრობებთანაც.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მუშები შეუდგენ მოსულ საქონლის გადმოტვირთვას.

ამ ფაქტის აღსანიშნავად მუშებმა და გერმანელმა მეზღვაურებმა ერთად გადაიღეს სურათი.

ლ. რანიძე

„ზარია ვოსტოკა“.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

პოლიციის კომისარიატის დათხოვნა.

ბერლინი. 18 აპრილი. მოკავშირეთა რეინის კომისიამ დაითხოვა კობლენცში გერმანიის პოლიციის კომისარიატი.

შეტაკება უმუშევრებთან.

ბერლინი. 18 აპრილი. უმუშევართა დემონსტრაცია ესსენში მშვიდობიანათ ჩატარდა. მიულჰეიმში კი უმუშევართა შორის მღელვარება ჩამოვარდა. უმუშევრები ცდილობენ იერიშით დაეკავათ გერმანიის სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაკავებული მუნიციპალიტეტის შენობა. შეტაკების დროს მოკლულია 1 მუშა დაჭრილია მძიმეთ -2, და მსუბუქათ 18. აღშფოთებულმა ბრბომ პოლიციელები ფრანგების პატრულისთვის გასცა.

პროლეტარული სოლიდარობა.

ბერლინი. 18 აპრილი. ნიშნად პროლეტარული სოლიდარობისა, ჰამბურგის ნავთსადგურის მუშებმა დაადგინეს უფასოდ გადმოტვირთონ რუსეთის პური, რომელიც იგზავნება რურის მუშებისთვის.

ფრანგების რეპრესიები.

ბერლინი 17 აპრილი. რურში ბრძოლა მწვავე ხასიათს ღებულობს ორივე მხრივ. ფრანგებმა დაიკავეს რკინისგზის მნიშვნელოვანი რაიონები ნარაუს და ემსონს შორის და გარეკეს ყველა რკინისგზელები. გერმანიის პრესის ცნობით დოსელში ფრანგებმა გადაასახლეს რურიდან 20.000 რკინისგზელი. ამას გარდა ფრანგები იკავებენ ნახშირის ახალ მაღაროებს და ითვისებენ უმუშევართა დახმარების ფონდებს.

რკინისგზის სადგურების დაკავება.

ბერლინი 17 აპრილი. ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობით, რურის რკინისგზის 206 სადგურიდან, ფრანგების მიერ დაკავებულია 173.

ლე ტროკის ოპტიმიზმი.

პარიზი 17 აპრილი ჟურნალისტებთან საუბრის დროს, ლე ტროკე ოპტიმისტურად შეეხო რურიდან ნახშირის გაზიდვის მომავალ პერსპექტივებს. ის დარწმუნებულია, რომ ერთი თვის განმავლობაში გაგზავნილი კოქსის რაოდენობა აიწევს იმ ნორმამდე რომელიც იყო ოკუპაციამდე.

ოკუპაციის გარშემო

ოკუპაციის მსხვერპლები.

პარიზი. 20 აპრილი. დიუსელდორფში პოლიციასა და უმუშევრებს შორის მომხდარი შეტაკების დროს დაიჭრა 6 უმუშევარი. მანჰეიმში მოკლეს 3 უმუშევარი და დაჭრეს 20.

დიდი ხნით აპირებენ დარჩენას.

ბერლინი. 20 აპრილი. „პტი პარიზიენის“ ცნობით ფრანგმა რკინისგზელებმა დაპყრობილ ოლქებში მიიღეს ოჯახის ჩამოყვანის უფლება.

ინგლისის ვაჭრობის ზარალი.

ბერლინი. 20 აპრილი. ინგლისის ვაჭრობის სამინისტროს მდივანის ველმერის ცნობით, რურის ოკუპაციით ინგლისის ვაჭრობისათვის მიყენებული ზარალის საერთო ჯამი უდრის 1,600,000 გირ. სტერლინგს.

ნიტის განცხადება.

ბერლინი. 20 აპრილი. იტალიის ყოფ. პრემიერმა ნიტიმ უცხოეთის წარმომადგენლების კომიტეტს ფრანკფურტის ბაზრობაზე გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ამბობს, რომ ანტანტა ცდილობს არა კონტრიბუციის მიღებას გერმანიისაგან, არამედ მის მოღრჩობას და ივიწყებს, რომ ეს მეტად ცუდ გავლენას იქონიებს ევროპის მთელ ეკონომიკაზე.

მერყევი პოლიტიკა.

ბერლინი. 20 აპრილი. საგარეო მდგომარეობის შესახებ გამწვავებული კამათის შემდეგ რეიხსტაგმა დაამტკიცა საგარეო საქმეთა მინისტრის ფონ-როზენბერგის მოხსენება. იმიდან, რომ კამათის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი არ გამოვიდა საპასუხო სიტყვით, ნათელია, რომ გერმანიის მთავრობას მიუღებლათ მიაჩნია სოციალ დემოკრატების წინადადება.

მინისტრებზე თავდასხმა.

ბერლინი. 18 აპრ. გერმანიის პრესსა იუწყება რურის ოლქში მყოფ საფრანგეთისა და ბელგიის მინისტრებზე უშედეგო თავდასხმის შესახებ მოკვლის მიზნით. აახენის ახლო ბელგიის თავდაცვის მინისტრი დაზესი იძულებული იყო გამოსულიყო მატარებლიდან, რადგან რკინის გზა, რომელზედაც მოგზაურობდა მინისტრი, დაშლილი აღმოჩნდა ლე-ტროკეს მატარებლის ქვეშ რკინის გზის ლიანდაგზე ნასროლი ყუმბარა ვადაზე უფრო ადრე გასკდა. ამ ამბების გამო საფრანგეთის ხელისუფლებამ გასცა ბრძანება სადგურ რონგეიდიდან რკინის გზის გერმანულ პერსონალის დაუყოვნებლივ გადასახლების შესახებ. საოკუპაციო ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი მოძრაობა აახენსა და საზღვრის შუა ტერიტორიაზე 20 საათზე უფროგვიან.

სანქციები ძარცვაზე.

ბერლინი 18 აპრილი. საფრანგეთ-ბელგიის საფინანსო კომისიამ დიუსელდორფში სანქციები დაადო იმ წარმოებათა მანქანების კონფისკაციაზე, რომლებმაც უარი განაცხადეს ნახშირის გადასახადის შეტანაზე.

საწყობების მარაგის კონფისკაცია

ბერლინი. 18 აპრილი. თამბაქოს და ღვინის გადასახადის მოხდაზე უარის განცხადების გამო, საოკუპაციო ხელისუფლებამ კონფისკაცია უყო ღვინისა და თამბაქოს საწყობების მარაგებს.

ახალი სასჯელი ზომები.

ბერლინი. 18 აპრილი. ფრანგების ახალ განკარგულებების ძალით, საბოტაჟი ფოსტა-ტელეგრაფს სამსახურში დასჯილი იქნება 5 წლიდან სამუშამო დაპატიმრებით.

ჩესტერის კონცესიების გარშემო

საფრანგეთი პროტესტს აცხადებს.

ბერლინი. 20 აპრილი. პარიზიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ ანგორის მთავრობას ჩესტერის კონცესიების გამო გაუგზავნა ისეთივე შინაარსის პროტესტი, როგორიც შეერთებული შტატების მთავრობას თავის პროტესტში ამერიკის მიმართ, საფრანგეთის მთავრობა გამოსთქვამს იმედს; რომ შეერთებული შტატების მთავრობა არ დაუჭერს მხარს იმ მოქალაქეებს, რომლებიც არღვევენ სხვა ერების უფლებებს და იღებენ იმ კონცესიებს, რომლებიც სხვებს ქონდათ გადაცემული.

ახლო აღმოსავლეთი

ახალი კომისარი სირიაში.

პარიზი. 20 აპრილი. გენერალ გუროს მაგიერ საფრანგეთის უმაღლეს კომისრათ სირიაში დაინიშნა გენერალი ვეიგანდი.

მოკავშირეთა კომისრების გამგზავრება.

პარიზი. 20 აპრილი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ინგლისის და საფრანგეთის უმაღლესი კომისრები სტამბოლიდან გაემგზავრენ ლოზანაში.

მოკავშირეები შეთანხმებული არიან.

რომი. 20 აპრილი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით ლოზანას კონფერენციაზე დელეგატათ გამგზავრებულმა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, რომ კამათი სტამბოლის ოკუპაციის შესახებ მწვავე ხასიათს მიიღებს. ამასთანავე მან სთქვა, რომ მოკავშირეები შეთანხმებული არიან ყველა იმ ფინანსიურ-ეკონომიურ და იურიდიულ კითხვებში, რომლებიც ახლო აღმოსავლეთს შეეხებიან.

ახალი კალენდარი საბერძნეთში.

პარიზი. 20 აპრილი. ათინიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთში მიღებულია გრეგორიანული კალენდარი.

იტალიის სოციალისტურ პარტიის ყრილობა

რომი. 17 აპრ. მილანში გაიხსნა იტალიის სოციალისტურ პარტიის ყრილობა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს კომპარტიასთან გაერთიანებისა და კომინტერნისადმი მიმხრობის საკითხი ყრილობის თავმჯდომარემ ლეპარიმ წაიკითხა კომინტერნის აღმასრ. კომიტეტის მოწოდება ყრილობისადმი. კომუნისტებთან შეერთების მომხრემ ბაფიმ მოითხოვა კომინტერნის წერილის განხილვა კომინტერნის პრინციპებისა და მე-4 კონგრესის რეზოლიუციის იტალიანურ საკითხის შესახებ მიღებით ყოველივე პირობის გარეშე. კომპარტიასთან გაერთიანების მოწინააღმდეგი ველლა წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს რეზოლიუცია კომინტერნთან შეერთების შესახებ იმ პირობით, რომ პარტიას შერჩეს ძველი სახელწოდება და ავტონომია ეროვნულ საკითხების გადაწყვეტაში.

ველლა წინააღმდეგია კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანებისა ბუფონი და რობოლდი წინადადებას იძლევიან გამოტანილ იქნას რეზოლიუცია კომპარტიასთან ყოველ პირობის გარეშე გაერთიანების შესახებ. კამათი გრძელდება.

ერთა ლიგის გარშემო

ერთა ლიგის საბჭოს სესია.

პარიზი. 20 აპრილი. გუშინ ერთა ლიგის საბჭო გაიხილა პოლონეთის წინასწარ შეთანხმების ზოგიერთ მხარეებს დანციგის საკითხის შესახებ.

ერთა საბჭომ დაადგინა 15 ნოემბერს მოიწვიოს კონფერენცია, ტრანსპორტისა და ტრანზიტის საკითხების შესახებ.

ერთა ლიგაში.

ბერლინი. 20 აპრილი. საბჭომ განახლა ერთი წლის ვადით ზემო-სილეზიის შერეული კომისიის თავმჯდომარის კოლონდერის მანდატი

კომუნისტების პროცესი

უნგრეთი

ვენა. 17 აპრილი. ბუდაპეშტში კომუნისტების პროცესზე მთავარმა ბრალდებულმა ზინგერმა განაცხადა, რომ ის ავრცელებდა ბუდაპეშტში კომუნისტურ გაზეთებს, მაგრამ არ ამზადებდა არავითარ შეიარაღებულ აჯანყებას. ბრალდებულის სიტყვით, ის მუშაობდა თავისი რწმენის მიხედვით. მეორე ბრალდებულმა განაცხადა, რომ ის ეკუთვნის კომუნისტურ პარტიას.

ჩვენება გამოწვეული იყო ძალდატანებით.

ვენა. 18 აპრილი. ბუდაპეშტში გრძელდება კომუნისტების პროცესი. ზოგიერთი ბრალდებულები უარს ამბობენ წინანდელ ჩვენებებზე, რომლებიც ძალდატანებით გამოსტყუა მათ პოლიციამ.

საჭიროა მთლიანი ფრონტი

ვენა. 17 აპრილი. ვენის საოლქო კომუნისტურ ორგანიზაციის პარტეიტამზე მოხსენებით პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ გამოვიდა კორიჩინერი, რომელმაც აღნიშნა რომ რევოლიუციონურ ორგანიზაციების ფრანკფურტის კონფერენცია გახდა ინიციატორათ კაპიტალისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, მომხსენებლის აზრით, მსოფლიო ფაშიზმთან ბრძოლისათვის საჭიროა ბრძოლის ორგანიზაცია ეკონომიურ მოთხოვნილებებისათვის, პროლეტარიატის შეიარაღება მთლიან ფრონტის განხორციელება და ენერგიული ბრძოლის წარმოება მუშათა მთავრობის შექმნისათვის

სხვადასხვა ამბები

კანადა.

კანადაში შესვლის აკრძალვის გაუქმება.

ბერლინი. 20 აპრილი. „კონარდლაინი“ იტყობინებს, რომ კანადის მთავრობამ გააუქმა კანონი, რომელიც უკრძალავს გერმანელებს, ავსტრიელებს, ბულგარელებს და ოსმალეთის ქვეშევრდომებს კანადაში შესვლას.

საჰაერო მიმოსვლა ამსტერდამ-პარიზს შორის.

პარიზი 20 აპრილი. ამსტერდამ-პარიზს შორის მოეწყო პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა.

ამერიკა.

მსოფლიო რეკორდი.

პარიზი 20 აპრილი. ამერიკელმა ავიატორებმა რიდემ და ტილლემ მიაღწიეს მსოფლიო რეკორდს ხანგრძლივი ფრენით, რომელიც გაგრძელდა 36 საათი და 5 წუთი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დეპეშები უცხოეთში

მოსკოვი. 19 აპრილი. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს დააჩქაროს იმ დეპეშების გადაცემა, რომელიც იგზავნება უცხოეთში დანიის საზოგადოების მავთულით. ტარიფი ძველი რჩება.

მოსკოვის განტვირთვა.

მოსკოვი. 19 აპრილი. მოსკოვის განტვირთვის კომისიას განზრახული აქვს 20 მაისისათვის შეადგინოს იმ ცენტრალურ დაწესებულებების სია, რომლებიც უნდა განიტვირთონ მოსკოვიდან და შეიტანოს ის სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად.

რუსეთ-ფინეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

მოსკოვი. 19 აპრილი. 19 აპრილს მოსკოვში დაბრუნდა ფინეთის დელეგაციის თავმჯდომარე, რუსეთ-ფინეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების გასაგრძელებლად გაიმართა კონფერენციის პირველი სხდომა.

სამელიორაციო ფონდი.

მოსკოვი. 19 აპრილი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საჭიროდ აღიარა განსაკუთრებული სამელიორაციო ფონდის დაარსება 3 მილიონი ოქროს მანეთის რაოდენობით რათა ცალკე რესპუბლიკებს მიეცეს გრძელ ვადიანი სესხი სამელიორაციო სამუშაოსათვის.

წითელი ჯვრების სრულ-უფლებიანი წარმომადგენლების კონფერენცია.

მოსკოვი. 19 აპრილი. 15 მაისისათვის მოსკოვში მოწვეულია საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯვრების სრულ-უფლებიანი წარმომადგენლების კონფერენცია, რომელზედაც ხელს მოაწერენ წითელი ჯვრების გაერთიანებას, უცხოეთში ერთიანი ფრონტით გამოსვლის მიზნით. პროექტის მიხედვით, რესპუბლიკის შიგნით წითელ ჯვრებს ეძლევათ სრული ავტონომია.

ფლოტის აღდგენა.

მოსკოვი. 19 აპრილი. გზათა სახალხო კომისარიატის ცნობების მიხედვით, ზამთრის განმავლობაში შეკეთებულია მდინარეების ფლოტის საერთო რაოდენობის 50 პროცენტი. ღირსებით შეკეთება სრულიად დამაკმაყოფილებელია და უზრუნველყოფს გემებს განმეორებით რემონტისაგან მიმდინარე ნავიგაციის განმავლობაში. შეკეთებული გემები უზრუნველყოფენ ყველა ტვირთების გადაზიდვას. დაწესებული ტარიფები 3-5 ჯერ უფრო ნაკლებია ვიდრე რკინის გზის ტარიფები.

კომინტერნში

ინგლისის სექციაში.

„ვორკერს ვიკლი“-ს წარმატება.

ინგლისის კომპარტიის ყოველკვირეულ ორგანოს „ვორკერს ვიკლი“-ს ტირაჟი 19 000-დან (დაარსების მომენტს, თებერვლის დასაწყისში) მარტის დამლევს 51.000-მდე გაიზარდა. საერთო პოლიტიკურ მიზეზების გარდა, ეს წარმატება აიხსნება ინგლისელ ამხანაგების ენერგიულ მუშაობით, რომლებიც ბეჯითათ ავრცელებენ ჟურნალს მუშათა უბნებში.

პირველი მაისი მთლიან ფრონტის ლოზუნგის ქვეშ.

ინგლისის კომპარტია ამზადებს პირველ მაისის ზეიმობას მთლიან ფრონტის ლოზუნგის ქვეშ. „ვორკერს ვიკლი“-ს განცხადების მიხედვით ინგლისელი კომუნისტები ენერგიულ ბრძოლას გამართავენ მუშათა პარტიის ყოველ ცდის წინაღმდეგ, რომლებიც მიმართული იქნება დღესასწაულში კომუნისტების მონაწილეობის თავიდან აცილებაზე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

დახმარება რევოლიუციის მებრძოლებს.

მოსკოვი. 19 აპრილი. რევოლიუციის მებრძოლთათვის დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების მერ გამართული კვირეული წარმატებით ჩატარდა. მარტოოდენ ბერლინის პროლეტარიატის შეწირულებამ 11 ნახ. მილიონ მარკას მიაღწია.

კაპიტალთან ბრძოლის თვის.

ვენა, 18 აპრ. ავსტრიის კომუნისტური პარტია 19 აპრილს მართავს მთელ ავსტრიის ტერიტორიაზე მასიურ დემონსტრაციებს ხელფასის მომატების, უმუშევრებისათვის მატერიალურ დახმარების გადიდების, ქარხნკომების კონგრესის მოწვევისათვის და ფაშიზმისა და იმპერიალისტურ ომის საშიშროების წინააღმდეგ საბრძოლველათ მუშების შეიარაღების სასარგებლოთ.

ფეიქართა გაფიცვა.

ბერლინი. 20 აპრილი. ფეიქართა გაფიცვა პილში იზრდება. გაფიცულთა რიცხვი აღწევს 12 000 კაცს.

უმუშევრობა ინგლისში.

ბერლინი. 20 აპრილი. უმუშევართა რიცხვი ინგლისში ამ ჟამად აღწევს 1.250.000 კაცს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ქარხანა აღდგენილია

ბაქო. 19 აპრ. აღდგენილია და ამუშავებულია ცემენტის ქარხანა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევება ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად ბაქოს საბჭო. ქარხნისათვის გადადებულია ძირითადი თანხა 20000 მანეთი ოქროთი.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქო 19 აპრილი. სწორი სავაჭრო კავშირის დამყარების მიზნით ბაზრებთან, რომელნიც წარმოდგენილი იქნებიან ბაქოს ბაზრობაზე, ბაქოს საბაზრო კომიტეტი აწყობს თავის წარმომადგენლობებს მოსკოვში, როსტოვში, ტფილისში, ხარკოვში, კიევში, თურქესტანში და სპარსეთში.

სიცივეები.

განჯა. 19 აპრილი. მთელს განჯის მაზრაში ცივი და ღრუბლიანი ამინდებია, რომელიც ხელს უშლის საგაზაფხულო თესვას. მაღლობ ადგილებში მოსულმა თოვლმა გაჰყინა ქართოფილი- გლეხები ემზადებიან მეორეჯერ თესვისთვის.

სათესი კამპანია.

ბაქო. 19 აპრილი. ქიურდამირის და მიუსიუსლის რაიონებს ჯერ არაფერი მიუღიათ ბამბის თესლეულობიდან. გაძლიერებული ტემპით ემზადებიან „ჩალტიკის“ თესვისათვის მთიან ადგილებში დაიწყეს ფეტვის თესვა. ამ რაიონში მიწის განაწილება ჯერ არ დამთავრებულა და ეს ხელს უშლის განზრახული მოედნის დათესვას.

სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ბაქო. 19 აპრილი მომავალ პურის მოწევის დროისთვის მიწათ მოქმედების კომისარიატის მთავარმა კანტორამ მიიღო სალეწი მანქანები, სათიბავი მანქანები, ფოცხები და სხვა ქარხანა „აქსაი“-ის მუშაობის წყალობით მიწათმოქმედების კომისარიატმა შესძლო შეეძინა დონის ნახიჩევანში აღნიშნულ ქარხნისათვის პარტია გუთნები. ამ გუთნების ფასები გაცილებით იაფია უცხოეთის ფასებთან შედარებით.

სომხეთი

იაფი პური

ერევანი. 19 აპრილი პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებით, პროფკავშირების წევრებს მიეცემათ ყოველდღიურად 800 ფუთი პური იაფ ფასებში.

გზების აღდგენა.

ერევანი. 19 აპრილი. გაიხსნა კრედიტი დელიჟან-აქსტაფას გზატკეცილის ასაღდგენად. მუშაობა უნდა დამთავრდეს ერთი თვის ვადაში. შედგენილია ხარჯთაღრიცხვა 10,000 მან. ოქროთი შემდეგი გზატკეცილების ასაღდგენად: ელენოვკა—ნორბაიაზეთი, ერევან—ელენოვკა, ერევან—კამარლიუ და ეჩმიაძინ - აშტარაკი.

ერევანის აღდგენა.

ერევანი. 19 აპრილი. ქალაქის აღმასკომმა მიმართა სახალხო კომისართა საბჭოს შუამდგომლობით, რათა უკანასკნელმა დაფაროს დეფიციტი 24,000 მან. ოქროთი, რომელიც გამოწვეულია ერევანში გაწეული მუშაობის გამო.

სასოფლო-სამეურნეო პუნქტები.

ერევანი, 19 აპრილი. მიწად მოქმედების განყოფილებამ დაადგინა გახსნას ერევანის მაზრაში 4 სასოფლო სამეურნეო პუნქტი.

დახმარება დამშეულებს.

ალექსანდროპოლი. 19 აპრილი. ალექსანდროპოლის აღმასკომმა მიიღო 1800 ფუთი ბურღული, რომელიც უნდა დაურიგდეს დამშეულებს. დაადგინეს პირველ რიგში ბურღული დაურიგდეს 1, 3, 4 და 6 რაიონებს, სულზე 10 გირ. რაოდენობით.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ალექსანდროპოლი. 19 აპრილი. ალექსანდროპოლის მილიციაში წერა-კითხვის უცოდინარობა სავსებით აღმოფხვრილია.

ოვ. თუმანიანის ხსოვნას.

ერევანი. 19 აპრილი. სომხეთის ყველა კუთხეებში გამართულ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ოვ. თუმანიანის ხსოვნის საპატივცემულოდ.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულათ

საქართველოს კომ. ახალგაზრდობის კავშირის ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

მიმდინარე წელს 1-ლი მაისის საზეიმო დღესასწაული ტარდება ორი შემდეგი ლოზუნგის ქვეშ.

1. მუშათა და გლეხთა ფართო მასების გაცნობა დასავლეთ ევროპის მუშათა რევოლიუციონურ ბრძოლასთან კაპიტალის შემოტევის გამო.

2. სოფელთან დაკავშირება, როგორც უმთავრესი მომენტი ჩვენს შინაურ პოლიტიკაში.

ცენტ. კომიტეტი წინადადებას აძლევს კავშირის ყველა კომიტეტებს გატარებული იქნეს დღესასწაული შემდეგი წესით:

1-ლი მაისის დღესასწაული ჩატარდეს პარტიულ და პროფკავშირების ორგანიზაციებთან ერთად, ამასთან კომკავშირი სპარტაკთან ერთად გამოდის ცალკე სასურველია დემონსტრაციების დროს მოეწყოს კარნავალი: დიდ ქალაქებში ავტომობილები, პროვინციებში კი ურმები, რომელნიც გამოხატავენ ა) შრომის განთავისუფლებას, ბ) მუშურ გლეხურ ახალგაზრდობის ერთობას, გ) ერთობა და სოლიდარობას დასავლეთ ევროპის ახალგაზრდობასთან და სხვა.

ქალაქის სოფელთან დაკავშირების მიზნით ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა 1 მაისისათვის დასრულებული იქნეს წინასწარი მუშაობა ქალაქის უფრო ძლიერ უჯრედების კულტურული შეფობის შემოღების შესახებ მზრუნველობის ქვეშ აყვანილ სოფლების უჯრედებზე, 1 მაისს კი მოეწყოს პასუხის მგებელ ამხანაგებისაგან და ქალაქის შეფ-უჯრედებისაგან დელეგაციები შესაფერი საჩუქრებით ამ სოფლებში გასაგზავნათ, რომლებზედაც მიღებულია შეფობა. 1-ლ მაისიდან უნდა შეუდგეთ კულტურულ შეფობის სისტემატიურ მუშაობას.

3. საღამოს მოეწყოს კლუბებში საღამოები შემდეგი სანიმუშო პროგრამით:

ა) მოხსენება 1-ლ მაისის შესახებ.

ბ) ძველი ამხანაგების მოგონებანი იატაკ ქვეშ მაისობის მოწყობის შესახებ.

დ) ცოცხალი სურათები და ინსცენიროვკა—გამომხატველი დღის ლოზუნგის.

გ) სპექტაკლი—კონცერტი.

ხ.კ. ახალ კომკავშირის ცენ. კომ. მდივანი დევდარიანი.

სააგ.-საპრ. განყოფილების გამგის მაგიერ ადამიანი.

ჯარში გაწვევის კამპანიის ჩასატარებლათ

საქართვ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ჯარში გაწვევის კამპანიის ჩასატარებლათ წინადადებას აძლევს სარაიონო კომიტეტებს ამა თვის 21-დან 25-დე მოაწყონ ყველა წარმოებებში კრებები.

კამპანიის ჩასატარებლათ გამოცხადებულია შემდეგი ამხანაგების მობილიზაცია:

1-ლ რაიონისთვის.

1. მარქაროვი, 2. ბერეზინი, 3. ელენტი, 4. ბუაჩიძე, 5. ეგოროვი, 6. ქავთარაძე ლადო, 7. კალანდაძე ერმალო, 8. კურულაშვილი, 9. ლეკვეიშვილი.

მე-2-ე რაიონისთვის.

1. იდრონ, 2. კრუგლოკოვი, 3 მამულაიშვილი, 4. ლედნოვი, 5 კაზაროვი, 6. ივანოვი—კავკაზსკი, 7. ვირაპი.

მე-3-ე რაიონისთვის.

1. კაგანი, 2 ვართაპეტოვი, 3 ფირალოვი, 4. კლევცოვი, 5. დონაძე, 6. ლომიძე, 7. ბაგიროვი, 8 რასულზადე, 9. ჯაფარიძე, 10. სიაგინი 11. პავერინი, 12. თალაქვაძე შ.

მე-4-ე რაიონისთვის.

1. სუტირინი, 2 ყანჩელი, 3. სიკინჯილაშვილი, 4. ჩანტლაძე, 5. ვინოგრადოვი, 6. ოკუჯავა ნიკოლოზ, 7 მამულაიშვილი, 8. ავაკოვი.

ს. კ. პარ. ტფ. კომ. სააგ.-საპრ. განყ. გამგე მ. ესსენი.

ს. ა. კ. კავშირის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მუშაობა მარტში.

ორგანიზაციული მუშაობა. ახალგაზრდათა კომკავშირის ქუთაისის ორგანიზაციას თვალსაჩინო ადგილი ეკავა საქართველოს გასაბჭოებამდე და უკავია მის შემდეგაც. მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაციას გამოაკლდა ბევრი აქტიური მუშაკები, რომელნიც საქ. კომკავშირის ცეკას მიერ გაყვანილ იქნა ზოგი იმავე ცეკას განკარგულებაში, ზოგი მუშაობს თვით ცეკაში, და ზოგიც რუსეთის ახ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, მუშაობა ქუთაისის მაზრაში მაინც ოდნავადაც არ შეფერხებულა და დღეს ქუთაისის სამაზრო კომიტეტი განაგრძობს თავის ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას ახალგაზრდათა შორის. კომიტეტის მდივანია ქალი, კავშირის არალეგალური და აქტიური მუშაკი; იგივე ითქმის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილების გამგის შესახებაც და დანარჩენ კომიტეტის წევრებზე.

მარტის თვე აღინიშნება კომკავშირის მუშაობის ნორმალური მიმდინარეობით.

თვის პირველ რიცხვებში ჩატარებულ იქნა სამაზრო კონფერენცია, რომლის მუშაობა იყო ნაყოფიერი და შედეგიც დადებითი. კონფერენციამ აირჩია სამაზრო კომიტეტი; პრეზიდიუმი დარჩა უცვლელად.

სამაზრო კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს რაიონებთან. იმავე კომიტეტის წევრები მიმაგრებული არიან თითო რაიონზე, სადაც ხელმძღვანელობენ მუშაობას. სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მარტის თვეში ჩამოთვლილია ყველა რაიონები. რაიონული მომუშავენიც ხშირათ ჩამოდიოდენ სამაზრო კომიტეტში დირექტივების მისაღებათ.

უჯრედების მუშაობა დამაკმაყოფილებელია ყველა რაიონებში უჯრედების კრებები სისტემატიურად იწვევა. უჯრედების მუშაობა წარმოებს იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც გამომუშავებული იყო მე-4 კონფერენციამდე.

კავშირი ძლიერ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე; რაც შეეხება გავლენას კერძოთ მოსწავლე ახალგაზრდობაზე უნდა აღინიშნოს, რომ სწორეთ აქ გავლენა თან და თან ღრმავდება და პოულობს ნიადაგს, განსაკუთრებით დაბალი კლასის მოწაფეთა შორის. ამით აიხსნება მოსწავლე ახალგაზრდობის კავშირისაკენ ასე ძლიერი ლტოლვა, უჯრედებს (რომელთაც კავშირი აქვს მოსწავლე ახალგაზრდობასთან) უხდებათ ყოველ სხდომაზე ახალ-ახალი განცხადებების გარჩევა მოწაფეთა კავშირში მიღების შესახებ. კავშირი რიცხობრივათ ჩქარი ტემპით იზრდება. არის მოთხოვნილება ახალი უჯრედების დაარსებისა, როგორც სოფლათ, აგრეთვე

ქალაქათ. სადაც საკმაო ძალები არის, რომლებიც შესძლებენ ახალი უჯრედების მოვლას—სათანადო ხელმძღვანელობის გაწევას, ასეთ ალაგას არსდება ახალი უჯრედები. უდიდეს ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მუშათა უჯრედებს. სამაზრო კომიტეტის მიერ ასეთ უჯრედებზე მიმაგრებულია კავშირის საუკეთესო პასუხისმგებელი მომუშავენი, რომელნიც შესაფერ ხელმძღვანელობას უწევენ ამ უჯრედებს.

კავშირის მიერ სწარმოებს მუშაობა უპარტიო ახალგაზრდათა შორის უჯრედების ღია სხდომებისა და მუშა ახალგაზრდობის კრებების მოწვევის სახით. სწარმოებს პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა „ვსეობუჩში“.

კავშირი აწარმოებს, აგრეთვე მუშაობას რკინის გზის ახალგაზრდათა შორის. ხდება რკინის გზის მუშა ახალგაზრდობის კრებები, სწარმოებს მათ შორის პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა, სამტრედიაში და ქუთაისში დაარსებულია პოლიტიკური წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევენ კავშირის მომზადებული ძალები. კომიტეტს აქვს კავშირი ტრანსპორტის პროფესიონალურ ორგანიზაციებთან.

კავშირი მუშაობს აწარმოებს „სპარტაკში“. უწევს მას შესაფერ ხელმძღვანელობას. „სპარტაკი“ ქუთაისის მაზრაში არის სამი—ორი ქუთაისში და ერთი ჯიხაიშში. ჩამოყალიბებულია „სპარტაკის“ გამგეობა კომკავშირის ხელმძღვანელობით.

კავშირი კომკავშირის სამაზრო კომიტეტსა და პარტკომს შორის მჭიდროა. პარტიული სამაზრო კომიტეტი უწევს პირველს იდეიურ ხელმძღვანელობას და მატერიალურ დახმარებას. სერიოზული საკითხები, რომლებიც კი წამოიჭრებიან სამაზრო კომიტეტის წინაშე ირჩევა პარტიულ კომიტეტთან ერთად და ტარდება ცხოვრებაში მისი დახმარებით. ურთი-ერთ წარმომადგენლობა რეგულიარულათ მიმდინარეობს.

ასეთივე დამოკიდებულებაა ადგილებზე კომკავშირის და პარტიულ ორგანიზაციების შორის. ქუთაისის მაზრაში კავშირის პარტკომთან დამოკიდებულება არ განისაზღვრება ურთიერთ წარმომადგენლობითი სისტემის დაცვით: ხშირად ხდება გაერთიანებული კრებები ახ. კომკავშირისა და პარტიის უჯრედებისა.

ი. შ.

(დასასრული იქნება)

პარტიული მუშაობა ოზურგეთის მაზრაში—მარტში

ორგანიზაციული მუშაობა. ორგანიზაციაში შედის 36 თემკომი 120 უჯრედით და 1384 წევრით. სამაზრო პარტკონფერენცია შესდგა 4 მარტს, შედეგები დადებითია. ცეკასაგან მიღებული ცირკულიარები ტარდება ცხოვრებაში. მაზრკომს მჭიდრო კავშირი აქვს ადგილებთან. კომიტეტის წევრები თვეში ერთხელ აწყობენ ორგანიზაციების შემოვლას, ადგილების მუშაობის მდგომარეობის ახლოს გასაცნობათ. მაზრკომი უწევს ქვემდებარე ორგანიზაციებს ხელმძღვანელობას, როგორც წერილობით, ისე ზეპირი ინსტრუქციებით.

საგიტ-საპროპაგანდო მუშაობა. საანგარიშო თვეში ჩატარებული იქნა აგიტ-კამპანიები: კომპარტიის არსებობის 5 წლის თავი, ანტირელიგიური და ქალთა დღე 8 მარტი; ხალხი ასეთ კრებებს აუარებელი ესწრება და გამოაქვთ სათანადო რეზოლიუციები. პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში—მოწყობილია ყველა ორგანიზაციებში სამეცადინო წრეები. წრეების მუშაობას ხელმძღვანელობენ პარტიის საუკეთესო ძალები. მარტში გახსნილ იქნა ზოგიერთ თემებში სამკითხველოები, აგრეთვე მიღებულია ზომები ჩამორთმეული ეკლესიების შენობებში კლუბებისა და სახალხო სახლის მოსაწყობათ. თემებში ხშირათ იმართება წარმოდგენები, ლექციები და საუბრები, რასაც ესწრება როგორც პარტიული, აგრეთვე უპარტიო მასაც. სალამო—ლექციებ-საუბრები კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ დამსწრე საზოგადოებაზე. მაზრაში მუშაობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 8 სკოლა, რომელშიც მეცადინეობენ გლეხები და კომკავშირის წევრები. უპარტიო მასაში პარტკომი აწარმოებს აგიტაცია-პროპაგანდას, საუბრებს, ლექციებს, სპექტაკლებს და სხვ. საანგარიშო თვეში დაწყებულ იქნა გაზეთის გამოშვება; გაზეთი გამოდის ჯერ პატარა ფორმატით. ცენტრალური გაზეთები მასაზე კარგ გავლენას ახდენს, ბევრ თემებს ყავს გამოყოფილი კორესპონდენტები, რომელნიც აწვდიან მასალებს ცენტრალურ გაზეთებს.

მუშაობა ქალთა შორის. მთელ მაზრაში მოწყობილია უპარტიო ქალთა წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მომზადებული ამხანაგები. დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირებთან დამაკმაყოფილებელია.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. მაზკომი უწევს კომკავშირს იდეიურ ხელმძღვანელობას და აძლევს მატერიალურ დახმარებას. კავშირი და წარმომადგენლობა კომკავშირსა და პარტიის შორის რეგულიარულად მიმდინარეობს. კომკავშირის მონაწილეობით მთელ გურიაში ჩამორთმეულია ეკლესიები, რომლების შენობები გამოყენებულ იქნება კლუბებათ და სამკითხველოებათ.

მუშაობა პროფკავშირებში. პროფკავშირების გამგეობის შემადგენლობაში შედის 7 კომუნისტი და 2 მემარცხენე ესერი, პრეზიდიუმში კი ყველა კომუნისტებია. მუშაობა მიმდინარეობს პარტიის გავლენისა და ხელმძღვანელობის ქვეშ.

საბჭოთა აღმშენებლობა. მაზრკომსა და აღმასკომის შორის კარგი კავშირია. პირველი ხელმძღვანელობს მეორის მუშაობას. აღმასკომის პრეზიდიუმის სამი წევრი შედის პარტკომის პრეზიდიუმში. ამ ბოლო დროს საბჭოთა აღმშენებლობის საქმე ძალიან გამოკეთდა: კეთდება გზები, ხიდები, სკოლები და სხვა. მიწის რეფორმა შეიძლება დამთავრებულათ ჩაითვალოს. ჩამორთმეულია სულ 2200 ქცევა მიწა. საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ უპარტიონიც, მაგ. გზებისა და ხიდების გაკეთებაში, ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმეში, დათესვის კამპანიის ჩატარებაში და სხვა. შედეგი უპარტიო მასის ასე მხურვალე მონაწილეობისა საბჭოთა აღმშენებლობაში—კარგია. კოოპერაცია მთლიანად კომუნისტების ხელშია, მუშაობა თემებში და კოოპერატივებში მიმდინარეობს პარტიის ხელმძღვანელობით.

წითელ არმიას პარტკომი უწევს ყოველგვარ დახმარებას როგორც მატერიალური, ისე იდეიური მხრით. ხდება შეერთებული კრებები.

შ.

მოგონება განსვენებული მარტოვის შესახებ

მინდა ორიოდე სიტყვა გაუზიარო მკითხველს ჩემი პირადი მოგონებიდან მის შესახებ.

ეს ამბავი შეეხება იმ დროს, როდესაც, 1918 წლის თებერვალში, მენშევიკები მოღალატურათ მიეპარნენ მშვიდობიან მიტინგს ალექსანდრეს ბაღში და აუტეხეს სროლა. 10 თებერვალი არასოდეს არ ამოიშლება ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის ხსოვნიდან ამ დღეს სოციალ გამცემლებმა მუშათა და გლეხთა სისხლის დაღვრით აღნიშნეს ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონურ სეიმის გახსნა; ამ ჯალათებმა იცოდნენ, რომ ამ დღეს ალექსანდრეს ბაღში თავს იყრიდნენ უკმაყოფილო მუშები და ჯარის-კაცები, რათა პროტესტი და თავის აღშფოთება გამოეცხადებიათ უზურპატორების წინააღმდეგ, რომელთაც ამიერ-კავკასიის მშრომელთა სახელით გახსნეს ამ დღეს თბილისში შავი სეიმი და უნდოდათ გამოეყოთ ეს მხარე რევოლიუციონურ რუსეთიდან. სოციალურ რევოლიუციის აჩრდილმა შეაშფოთა ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციის ბუდე და გააერთიანა ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები დაწყებული დაშნაკ-მუსავატებიდან ვიდრე მენშევიკებამდე, ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ამ გაერთიანებულმა კონტრ-რევოლიუციამ 10 თებერვალს პირველად გამოსცადა თავის ძალები და რამდენიმე ათეული მუშა სისხლში ჩაახრჩო.

და იმ დროს, როდესაც კომუნისტურ რევოლიუციის აკვანში მოსკოვში ასობით და ათასობით გაისმოდა საპროტესტო ხმები მენშევიკების მიერ კავკასიაში ჩადენილ სიმხეცის წინააღმდეგ, როდესაც აღშფოთებული ამხ. სოსნოვსკი გაზ. „პრავდა“-ს ფურცლებზე ეკითხებოდა მოქ. მარტოვს „თქვენ პროტესტს აცხადებთ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ხვრეტს ბანდიტებსა და კონტრ-რევოლიუციონერებს, რომელნიც იარაღით ხელში გამოდიან მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ, იქ-კი, კავკასიაში, თქვენი ამხანაგები ხვრეტენ მუშათა მშვიდობიან მიტინგსო“ მოქ მარტოვი მენშევიკთა ორგანოს „ვპერიოდი“-ს ფურცლებზე უარყოფდა ამ უკანასკნელ ფაქტს და უწოდებდა მას პროვოკაციას, არჩევნების სამზადისის დროს ნახმარ ხრიკებს (იმ დროს სწარმოებდა არჩევნები საბჭოებში); იქ, სადაც ამხ. ამხ. წერეთელი და ჩხეიძეა ხელისუფლების სათავეშიო, ამბობდა ის, ასეთ სისაძაგლეს არ შეიძლება ადგილი ექნესო.

ამ ხანებში მე მომიხდა მოსკოვში ყოფნა და დავესწარი მოქ. მარტოვის ერთ მოხსენებას. აღელვებული მუშები ეკითხებოდენ მას: მართალია თუ არა, რომ მენშევიკები მშვიდობიან მიტინგებს ხვრეტენო. მარტოვი ამას კატეგორიულად უარყოფდა და უწოდებდა ბოლშევიკების პროვოკაციას.

მაშინ მე წამოვდექი და, როგორც ხსენებულ მიტინგზე დამსწრეთაგანი, უამბე მსმენელებს საქმის სინამდვილე და მოუყვანე ცოცხალი ფაქტები. მარტოვი დაიბნა, აღარ დამაცალა სიტყვის დათავება და მთხოვა, თუ ყველაფერი ის მართალია, რასაც მე ვამბობდი, წავსულიყავი მათთან ცენტრალურ კომიტეტში და გამეკეთებია ვრცელი მოხსენება.

მე მოვაგროვე თბილისის ის გაზეთები, რომელშიაც აღწერილი იყო ხსენებული ამბები და გავემგზავრე მათთან. როდესაც დაწვრილებით აღვწერე ყველა ის, რაც 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მოხდა, მარტოვს შერცხვა და არ იცოდა რა ექნა. მეორე დღეს იმავე გაზ. „ვპერიოდში“ უსირცხვოდ აღიარა, რომ მენშევიკებმა მართლა დახვრიტეს ალექსანდრეს ბაღში მშვიდობიან მიტინგზე დამსწრე მუშებიო. წერილს ის შემდეგი სიტყვებით ათავებდა: „მე იქაც პროტესტს ვაცხადებო“,

როგორც წვრილი ბურჟუაზიის ტიპიურ წარმომადგენელს, მას მეტი რა შეეძლო გარდა იმისა, რომ პროტესტი გამოეცხადებინა იქაც, სადაც მუშურ-გლეხური ხელისუფლება ხვრეტს ბანდიტებს და იქაც, სადაც კონტრ-რევოლიუციონერები ხვრეტენ მუშებს.

წინათ, მანამ პირველად შევხვდებოდი და გამოველაპარაკებოდი, მე უკეთესი წარმოდგენა მქონდა მოქ. მარტოვზე. მე ის მეგონა ყველაზე დარბაისელი და პატიოსანი მენშევიკი, მაგრამ ზემოხსენებულ შემთხვევისა და მასთან რამოდენიმე პირადი საუბრის შემდეგ, მოლოდინი არ გამიმართლდა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მან უსაბუთოდ გაილაშქრა ამხ. სტალინის წინააღმდეგ; რომ შეებღალა და დაეცა პროლეტარიატის წინამძღოლთა ავტორიტეტი მარტოვმა იარაღათ უსირცხო პროვოკაცია და ჭორები იხმარა.

სიცრუისათვის მოქ. მარტოვი პასუხისგებაში მისცა ამხ. სტალინმა სასამართლოში, რომელსაც ათასამდე მუშა დაესწრო, გაკიცხა იგი და შერცხვენილმა მარტოვმა მყისვე დასტოვა დარბაზი.

მისი გამომეტყველება მოწმობდა თუ რამდენათ საცოდავი ადამიანი იყო ის ამ დროს.

მე კი ვნანობდი, რომ ამდენ ხანს ამ ადამიანზე საუკეთესო წარმოდგენა მქონდა.

ა. დ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(20 აპრილი)

ოქროს 10 მან.—10,700 ათასი.
გირ. სტერ. — 5,850 ათასი.
დოლარი — — 1,385 ათასი.
ლირა — — — 1,025 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ. 16,75. ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი.

(20 აპრილი)

ოქრო 96 საწ. მისხალი—3 მ. 40 კ.
ოქრო 56 საწ.—1 მ. 70 კაპ.
ვერცხლი 84 საწ. მისხალი—6,75 კ.,
1 მან. ბანკის (ვერცხლი)—40 კაპ. 1 მ.
ხურდა ვერცხლი—16,5 კაპ.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის ფასები.

20 აპრილს.

პური თეთრი—25. ფქვილი ყუბანის—50. შაქარი ფხვნილი წევრთათვის—200. საპონი მარმარილოსი—180. საპონი „ტოლე“—180. ლობიო—13. ქონი—30. (დაფქვილი) ასანთი—15. (უცხოეთის).

რ. ს. ფ. ს. რ. სხვა და სხვა ქალაქებში ვალიუტის კურსი.

14 აპრილს

ხარკოვი	700 მილ.
კიევი	716 „
მინსკი	720 „
ოდესა	690 „

ვალიუტა ბათომში.

(19 აპრილი)

ლირა — — — 950 ათასი.
დოლარი — — 145 პიასტ.
გირვანქა სტერ. — 990 პიასტრი.
ოქროს 10 მან. — 1050 პიასტრ.

ვალიუტა ბაქოში.

(19 აპრილი)

10 მანეთიანი ოქრო — 10,000 ათ.
გირვანქა სტერ. — 6,700.
დოლარი — — — 1,430.
ლირა — — — — 850.

თბილისის ბაზრის ფასები.

ხორბალი ყუბანის—650—700. ადგილობრივი—600. ფქვილი „კრუპჩატკა“—1800—1900 „სეიანკა“—1300—1350. ადგილობრივი—700—750. შაქარი რაფინადი—35 მან.—35 მან. 50 კ. ჩაი „სოსიფროსი“—95 მ.ნ. მარილი ქვის—ფუთი—800. საპონი ადგილობრივი—6000. საპონი მარსილის ყუთი—23-25 ლირა. ასანთი რუსეთის ყუთი—10 მან. 75 კ.—11 მ. ნარმა 16 ვერშოკი—320.

ტფილისის სადგურზე ჩამოსული საქონელი.

19 აპრილს.

პირდაპირი მიმოსვლით—ლურსმანი—800 ყუთი. ფქვილი ხორბლის—1006,5 ფ. ფქვილი „სეიანკა“—191 ფუთ.

ადგილობრივი მიმოსვლით—სხვა და სხვა მატყლი—2477. ნავთი მსუბუქი—ცისტერნი. მარილი—3000 ფ. მაზუთი—3 ცისტერნი. ღვინო კა- ზეთის—418 ფ. კრამიტი—100 ფუთი მანუფაქტურა—6 ფ. რეზინის ნაწარმოები—68 ფ. გუმირაბიკი—6 ფ. 13 გირ. ამონი—10 ბოჩკა. ქონი საქონლის—90 ფ მარილი ქვის—3 ფ. სხვა და სხვა მანუფაქტურა—1000 ფ.

განწყობილება საქონლის ბაზარზე.

(20 აპრილი).

საერთო განწყობილება ხასიათდება მოლოდინით და მოდუნებით. მარცვლეულზე და პურის პროდუქტებზე—უფრო სუსტია, წინანდელ დღესთან შედარებით. შაქრის, ქიმიურ და საშენ მასალების ბაზარზე განწყობილება გამოცოცხლებულია.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

კაკაო, ერბო, მზის უმზირას ზეთი, საპნა, ჯაგარი გაწმენდილი, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, რუსული მანუფაქტურა, ლურსმები, მინები, ასანთი, ყუბანის ფქვილი, გოგირდი, ბურღული, სარდინები, შვეიცარული ყველი, თოკები, რკინის ნიჩბები, ნაწლევები, სკიპიდარი, ცემენტი, ხორბალი, სამკურნალო ზეთი, რკინა, შაბიამანი, საღებავი „კურკუმა“, შაქარი რაფინადი, ფხვნილი შაქარა, რ ს. ფ. ს. რ. ტყავის სინდიკატის ნაწარმოები.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფიცრება და საშენი მასალები რკინის ნიჩბები.

თუშური მატყლი

დაფქვეული გოგირდი, ინგლისური შაბიამანი, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, საპნის სურაგატები, რუსული მანუფაქტურა, ლურსმები, ბერტოლეტის მარილი, კაუსტიური, სოდა, კანიფოლი, ტეხნიკური ცხიმი, ნაწლევები, ფანჯრის მინები, ნედლი ტყავი, მარცვლეული და პურის პროდუქტები, ფქვილი პირველი ხარისხის.

განწყობილება ვალიუტის ბაზარზე

(20 აპრილი)

ვალიუტის ამ უკანასკნელ დღეებში ეჩნევა სიმტკიცე, თუმცალა შედარებით მაღალი კურსით. ასევე ითქმის ძვირფასი ლითონების შესახებაც.

სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტში.

სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ საკითხი გადაწყდა დადებით. რეორგანიზაციის პროექტი შეტანილია დასამტკიცებლათ სასოფლო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში. კომიტეტს ეწოდება სახელმწიფოს საამშენებლო მთავარი სამმართველო და შესდგება სამ განყოფილებისაგან—საარქიტექტურო-საამშენებლო, გზათა აშენებლობა და სახელმწიფო-საამშენებლო, რომელსაც ექნება პირველ ხანებში კონტორები ბათომში, ქუთაისში და გორში.

აღმოსავლეთ-ევროპის ხე-ტყის ბაზრობა

(გერმანიის პრესის მიმოხილვა)

გერმანიის პრესა მთელ რიგ წერილებს უძღვნის აღმოსავლეთ ევროპის სატყეო ბაზრობის გახსნას. სატყეო ბაზრობა, გერმანიის პრესის აზრით, ნათელყოფს თუ რა რაოდენობის ექსპორტი შეუძლია რუსეთს; გაზეთები არ უარყოფენ, რომ რუსეთში ბევრი რამ ცვლილება მოხდა უკეთესისაკენ, კერძოთ სატყეო მეურნეობაში, მაგრამ პესიმისტურად უყურებენ მომავალს, რადგან, მათის აზრით, ბევრი დრო გავა, სანამ რუსეთი კვლავ დაიბრუნებს პირველობას ხე-ტყის მასალის ბაზარზე. განსაკუთრებით ვრცლათ ეხება ამ საკითხს გაზეთი „Deutche Holzzeitung“-ი. წერილის ავტორი აღიარებს, რომ რუსეთი მდიდარია ტყით (ევროპიულ რუსეთში ტყეებს უჭირავს 295 მილიონი დესეტინა, აზიის რუსეთში კი—330 მილიონი), მაგრამ, წერილის ავტორის სიტყვით, ამ სიმდიდრეს მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის, აწმყოში კი მას ნაკლები სარგებლობა მოაქვს: ამის დასამტკიცებლად ავტორს მოყავს ციფრები რუსეთის ხე-ტყის მასალის ექსპორტის შესახებ და აღნიშნავს, რომ 1921 წელს რუსეთიდან გაიტანეს 9 მილიონი ფუთი იმ დროს, როცა 1913 წელს გაიტანეს 463 მილიონი ფუთი. გატანილი ხე-ტყის მასალის შემცირებასთან ერთად იწევდა ფასები ამ მასალაზე: ასე მაგალითად, ფუთი ხე-ტყის მასალა 1913 წელს ფასობდა 30 კ., 1921 წელს კი 1 მ. 90 კ. ოქროთი.

თუმცა 1922 წელს გატანილი ხე-ტყის მასალის რაოდენობა ბევრათ აღემატება წინა წელს გატანილ რაოდენობას, მაგრამ ის მაინც ბევრათ ნაკლებია იმაზე, რის გატანა შეიძლება არსებულ პირობებში.

დასასრულ ავტორი სწერს, რომ გერმანია არ უნდა დარჩეს განზე რ. ს. ფ. ს. რ. ადორძინებიდან, არამედ ახლო მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საქმეში.

გაზეთი „კენიგსბერგერ გარტუნგშე ცაიტუნგ“ უფრო ოპტიმისტურათ უყურებს აღმოსავლეთ-ევროპის სატყეო ბაზრობას და ეჭვი არ ეპარება, რომ ამ ბაზრობას დიდი მნიშვნელობა იქნება აღმოსავლეთ-ევროპის ხე-ტყის მრეწველობის განვითარებისათვის. გაზეთის აზრით, ხე-ტყე არა მარტო მთავარი საექსპორტო საგანია, არამედ მთავარ საშუალებასაც შეადგენს აღმოსავლეთ-ევროპის სახელმწიფოებისათვის მათი ვალდებულებების უზრუნველსაყოფათ. გერმანია ამ ბაზრობაში შუამავალის როლს იკისრებს. კენიგსბერგი საუკეთესო ადგილია ხე-ტყის ექსპორტიორების და იმპორტიორების შესახვედრად და ამ მხრივ მას კონკურენციას ვერ გაუწევს ვერც დანციგი, ვერც რიგა და ვერც მემელი.

სასოფლო მეურნეობა

ტყეების ჩეხვა—როდემდის?

ჩვენ არა ერთხელ გვსმენია, გვითქვამს, გვილაპარაკნია, ჩვენს პრესას არა ერთხელ აღუმაღლებია ხმა ტყეების უსისტემოთ ჩეხვის შესახებ. მათი შენარჩუნებისათვის არა ერთხელ მივმართავთ ხოლმე სასტიკ ზომებს… საქმეს მაინც არა ეშველა რა.

რატომ არ უფრთხილდებით ტყეებს? ნურავინ იფიქრებს, რომ გლეხს, როგორც კულტურულად მოუმზადებელს, არა ჰქონდეს შეგნებული, რომ ტყეების უსისტემოდ ჩეხვით ის ზიანს აყენებს როგორც რესპუბლიკას, ისე თავის თავს და ძირს უთხრის სოფლის მეურნეობას. მას კარგად ესმის ეს და ბევრჯელაც მსმენია მათგან:

„რა ვქნათ შენი ჭირიმე, მშივრები ვიხოცებით, პური არა გვაქვსო“ და სხვა.

მაგალითები მრავალია: რამოდენიმე თვის წინეთ ახალგაზრდა მეხნარეში, რომელიც მდებარეობს წმ. გიორგის მონასტრიდან აღმოსავლეთით და რომელიც საუნჯეს წარმოადგენს რესპუბლიკისას, წავაწყდი რამოდენიმე გლეხს, რომლებიც „ცოცხალ“ ხეებს ქერქს აძრობდნენ და ამზადებდნენ ქალაქში გასატანათ. ჩემს განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა, ძლიერ შევწუხდი, გადავწყვიტე ყველის დაპატიმრება, ეს ასეც მოხდებოდა, რომ ერთის მოხუცს გლეხის სიტყვებს არ გამოვეყვანე თავდავიწყებიდან, იგი ცულს მაჩერებდა ხელში შემდეგი სიტყვებით:

— ჰი შენი ჭირიმე, დამკარი თავში, სჯობია ეხლავე მოვკვდე, ვიდრე სულ მთლად არ დამილუპავს სახელმწიფოვო.

ჩემს შეკითხვაზე: რომ

— თუ იგიც იცი, რად სჩადიხარ ამ საქმესთქო? მომაძახა:

— მშიერი მელუპება ცოლ-შვილი, მშიერი“-ო.

მაშასადამე საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩვენს გლეხობას არ აქვს შეგნებული ტყეების მნიშვნელობა, როგორც ამას ამტკიცებენ ზოგიერთები, არამედ იმაში, რომ მდგომარეობა აიძულებთ ასე მოიქცნენ.*) მიზანშეწონილი ტყეების ხარჯვა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს მცხოვრებლებს.

ამიტომ უმთავრესი ხსნა არის მეურნეობის გაუმჯობესობაში, რომ მისი ნაყოფი დამაკმაყოფილებელი შეიქნეს. ამისათვის კი საჭიროა საკმაო მიწების ღრმად დამუშავება, მათი გაპოხიერება. საჭიროა შრომა, დიდი და უნაყოფო კი არა, როგორც სჩვევია ჩვენს გლეხკაცობას, არამედ დიდი და ნაყოფიერი. ასეთი შრომის მაგალითებიც არის:

ერთს გლეხს ქართლში ერთმა დღიურმა მიწამ, რომელიც „პატივ“ ნაყარი იყო, მისცა 100 ფუთი ხორბალი მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი მიწა უ'ასუქო იძლევა 25-30 ფუთამდე. რა შედარებაა? და ბოლოს რომელიმე განათლებულ ევროპიელს რომ უთხრათ, დესეტინაზე ჩვენში 50 60 ფუთამდე მოდისო, გაუკვირდება.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესობით ჩვენ დავიხსნით ჩვენს ტყეებს დაღუპვისაგან.

გ. გორდაძე.

---

*) ასეთი ახსნით ტყეების უთავბოლო ჩეხვის გამართლება შეუძლებელია. რედ.

პროფკავშირებში

მელითონეთა კავშირში.

კავშირის სოხუმის განყოფილების ლიკვიდაცია. მელითონეთა კავშირის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ სოხუმის განყოფილებაში ირიცხება მხოლოდ 8 კაცი, წინადადება მისცა განყოფილების მდივანს გააუქმოს მელითონეთა კავშირის სოხუმის განყოფილება და ყველა საქმეები გადასცეს პროფკავშირთა საბჭოს სოხუმის რწმუნებულს.

ბინის ქირა. თანახმად საბინაო კოოპერატივის მომართვისა მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სამეურნეო ორგანოებს; არსენალის სალითონო განყოფილებას და საარტილერიო საწყობს მათ განკარგულებაში მყოფ თვითეულ სახლზე შეიტანონ საბინაო კოოპერატივში 10 მ. ოქრ.

სამხატვრო-სალიტერატურო წრის დაარსება. კავშირის კულტუჯრედების ყრილობამ დაადგინა დაარსოს კლუბთან სამხატვრო-სალიტერატურო წრე და შეიმუშაოს ამისათვის გეგმა პროლეტკულტთან ერთად.

პროფტეხნიკური კურსები. კავშირის ცენტრ. გამგეობამ მიიღო პროექტი პროფტეხნიკური კურსების დაარსების შესახებ და გადასცა კულტგანყოფილებას სახელმძღვანელოდ და კურსების მოსაწყობად. კურსები მოწყობილი იქნება ავტო-სახელოსნოსთან (№ 1).

მუშათა პრესა. კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს მუშათა პრესას და ეწევა პროპაგანდას გაზეთების გამოსაწერად.

კოლექტიური ხელშეკრულებები. მარტის თვეში კოლექტიური ხელშეკრულება დადებულ იქნა 4 სახ. დაწესებულებებთან და ვრცელდება 8 ქარხანაზე. უმცირეს ხელფასად მიღებულია 8 მ. და 50 კ.

ბეჭდვითი მუშაკთა სექციაში. 5 მაისს ბეჭდვითი მუშაკთა დღეს, ადგილობრივი რედაქციები მიიღებენ შეფობას მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტზე. ამ დღეს მუშათა წარმოდგენები გამოყენებული იქნება მოხსენებისათვის მუშათა პრესის შესახებ. ერთ-ერთ თეატრის დარბაზში გაიმართება სექციის ყველა წევრთა სხდომა მუშათა კორესპოდენტებთან ერთად. დღის ლოზუნგად გამოცხადებულია, ყოველი წერა-კითხვის მცოდნე მუშა ვალდებულია იკითხოს და წეროს თავის გაზეთში.

განათლების მუშაკთა კავშირში.

10 მაისს გაიმართება განათლების მუშაკთა ცენტრ. პროფ. კავშირის გაფართოებული პლენუმი პროვინციის განყოფილებების წარმომადგენლებთან ერთად.

ქრონიკა

სრ. საქ. ცენ. აღ. პრეზიდიუმში.

— **შუამდგომლობა.** სრ. საქ. ცენ. აღმასრ. კომ. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის შუამდგომლობა ქ. სურამში მოქ. გრამმატი კოპოლის სახლის სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების შესახებ.

— **უმაღლეს რევტრიბუნალის კოლეგიის წევრების დანიშვნა.** ამავე პრეზიდიუმმა დაადგინა განთავისუფლებული იქნენ ამხ. ბოლქვაძე და თაქოევი უმაღლეს რევტრიბუნალის კოლეგიის წევრობიდან და მათ მაგივრათ დაინიშნოს ამხ. თუმანიშვილი და სტანსკი.

— **სალერბო გადასახადი.** სალერბო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ შემოსული თხოვნები პრეზიდიუმის დადგენილებით გადაეცემა განსახილველად იუსტიციის კომისარიატს.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **ჩამორთმეული მიწები.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, საქართველოს სხვა და სხვა მაზრებში მიწების ჩამორთმევა დასრულდება ამ დღეებში. დღემდე ჩამორთმეულია 80,000 დესეტინა მიწა რომელიც განაწილებული იქნა უმიწაწყლო გლეხებს შორის. აგრეთვე ჩამორთმეულია მთელს რესპუბლიკაში 500 სახლამდე რომელშიაც გაიხსნა სახალხო სკოლები, გლეხთა კლუბები და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებანი.

ქალაქის აღმასკომში.

— **სასკოლო ნაწარმოებთა გამოფენა.** ქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა ტფილისის ერთ-ერთი შრომის სკოლის შენობაში მოაწყოს სასოფლო გამოფენა, სადაც გამოფენილი იქნება შრომის სკოლების მოწაფეთა მიერ დამზადებული ნივთები.

— **მოსამზადებელი კონფერენციები.** ამავე განყოფილებამ დაადგინა საზაფხულო არდადეგებში მოიწვიოს ტფილისში უბნების და მაზრების მასწავლებელთა მოსამზადებელი ყრილობები, რომლებზედაც წაკითხული იქნება სპეციალური ხასიათის ლექციები.

— **წარმომადგენლის გაგზავნა.** განათლების განყოფილებამ დაადგინა გაგზავნოს მოსკოვში ინსტრუქტორ წარმომადგენელი. რომელსაც ევალება შეისწავლოს რუსეთში ამჟამად არსებული პირობები სწავლა განათლების დარგში და მომხდარი ცვლილებები ამავე საქმეში.

— **პრესის შესახებ.** ქალაქის აღმასკომმა წინადადება მისცა თავის განყოფილებებს, რათა თანახმად მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცირკულიარისა, თვალყური ადევნონ თავიანთ მუშაობაზე პრესაში დაბეჭდილ ცნობებს და სიმართლეს მოკლებულ შენიშვნა-ცნობის შესახებ სათანადო განმარტებები წარუდგინონ საინფორმაციო განყოფილებას სიმართლის აღსადგენათ.

კოოპერაცია.

— **თათბირი,** 18 მაისს ტფილისში გაიხსნა რუსეთის გაერთიანებული კოოპერატივების ა.-კ. განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი თათბირის დღის წესრიგში არის შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება გამგეობის, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიის, 3) 1923 წლისათვის პურის დამზადების საკითხი, 4) მოხსენება განყოფილებების, და სხ. თათბირი გაგრძელდება 4 დღეს.

კრებები და მოხსენებები

— **ლექცია.** დღეს 21 აპრილს მელითონეთა პროფ. კავშირის კლუბში ამხ. სუდაკოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „ქვეყნის დასაწყისი“.

შემთხვევები.

ქურდობა.

— ანდრეევის ქ. № 23 გაქურდეს მარიამ მალაქიას ასულ ნაცვლიშვილის ბინა, საიდანაც წაიღეს 96 მილიონის სხვა-და-სხვა ნივთეულობა.

— ბორჯომის ქ. № 1. გაქურდეს ვასილი ალექსის ძე ხრამოვის ბინა, წაღებულია 40 მილიონის ტანისამოსი.

— ოლღას ქ. № 44. ბოროტ-მოქმედებმა კაროლინა ტრესტნიკოვას მოჰპარეს 270 მილიონის საქონელი.

— ყუბანის შესახვევში № 3 კანდიდ ვლადიმირის ძე კიკნაძის მოჰპარეს სხვადასხვა ნივთები.

ხელოვნება

სახალხო სახლი

პარასკევი, 13 აპრილი.

გზა ჯვარედინზე—ნ. გერგესელის.

რეჟისორი—შალვა დადიანი.

არავის ისე არ ემარჯვება ორი მოწინააღმდეგე ბანაკის: ბურჟუაზიის და მუშათა კლასის დაპირისპირება, როგორც ნ. გერგესელს. და ეს დარაზმვა უეჭველად თავისებურია და გამართლებული. ჩვენი დრამატურგია სავსეა რევოლიუციონური პიესებით, მაგრამ ყველა მათგანი ერთნაირი შაბლონით არის დაწერილი. ნ. გერგესელის „გზა ჯვარედინზე“ და „ნილაბ ქვეშ“ რევოლიუციის გამართლებაა, რომელსაც აყალიბებს შეგნებული, მომზადებული მუშათა კლასი.

პროლეტარიატის სისხლით გამძღარი ფაბრიკანტი ვლადიმერი (ნინიძე) შეიჭრება მუშის სახლში და თავისი გახრწნილი სქესობრივი ჟინით გადაიყოლიებს მუშის შვილს ლენას (ანკარა). იმდენად არის გატაცებული მისი გარეგნული სიმშვენიერით, რომ გადაწყვიტს ცოლად შერთვას და ამ უკანასკნელ ნაბიჯს მხოლოდ იმიტომ გადადგამს, რომ სხვანაირად ვერ მიაღწია მიზანს. ლენას მტკიცე ნებისყოფა ვერ დასძლია და ბოლოს შერთვა მოინდომა ლენას ძმას, შეგნებულ მუშას, სანდროს, თვალის დასანახავათ ეზარება ვლადიმერი, როგორც უსინდისო და როგორც მისი მოწინააღმდეგე ბანაკის წევრი. ამიტომ არის, რომ სანდრო საშინლად ნერვიულობს ვლადიმერის ლენასთან დაახლოვებით, მაგრამ როცა დარწმუნდება, რომ ლენა გატაცებულია ვლადიმერით და დაღუპვის გზაზეა შემდგარი, მიატოვებს სახლს და მიდის. დიდ სულიერ ტკივილებს გაიცდის ამ მოვლენით ლენას მამა, (ლუკა) რომელიც პიესაში უაღრესი განვითარებით არის ჩამოხსმული, როგორც ძველი მუშა, რომელზედაც საკმაო გავლენა მოუხდენია კაპიტალის მუხრუჭს და ჰლექით დაუავადმყოფებია. ვლადიმერი ირთავს ლენას, ლენა მიატოვებს მშობლიურ მუშის ჭერს, მიატოვებს სატრფოს, (ლეოს) რომელიც გაგიჟებით უყვარს და გადადის ფუფუნებით მოცულ სასახლეში. შურით ივსება ლეო ვლადიმერისადმი, ძალიან უკვირს, რომ ლენამ უღალატა, მით უფრო სამართლიანია მისი გაკვირება, რომ ლენას ის უყვარდა. ესეც რომ არ ყოფილიყო ვლადიმერი სულ სხვა წრის იყო და ლეო კი ლენას წრეს ეკუთვნოდა, ორივენი მუშის შვილები იყვნენ. სანდროს ნუგეშით ლეო დაივიწყებს სევდას და მასთან ერთად ჩაებმება რევოლიუციონურ მუშაობაში.

ვლადიმერმა სურვილი დაიკმაყოფილა, ლამაზი ლენა დაისაკუთრა, მაგრამ მალე აიცრუა გული და კვლავ ძველ გარყვნილების გზას გაჰყვა.

აქედან იწყება ლენას ტრაგედია, ფიქრები წარსულზე, ლეოს ლანდები შემოწყრალი ძმა და უგულო ვლადიმერი.

არა ნაკლები ტანჯვაა ლენას მამას გულში. ვერ შეურიგდა ფუფუნებას, სანდროს უნახაობას და განუწყვეტლივ ტირის."

და ამ დროს დაინგრევა ძველი დახავსებული წესები, დაემხობა ტირანი და მასთან ერთად ბოლო ეღება ვლადიმერისთანა თავაშვებულებს.

სანდრო მოდის მამის სანახავათ, მამა ეხვეწება მას წაიყვანოს თავის ძველ სახლში, ჩაიცვამს ძველი ტანისამოსი მუშური და მაშინ უფრო ბედნიერად იგრძნობს თავს. ისეთი ლამაზია ეს ადგილი პიესაში, რომ მარტო ამითი შეიძლებოდა მისი სრული გამართლება. სანდროს მიყავს მამა, ლენა მარტო რჩება. იქ ამ დროს არის ნახევრად პატიოსანი ექიმი, რომელიც ურჩევდა ვლადიმერს ლენას მამა თავშესაფარში გაგზავნეო, რადგან მას ჰლექი ქონდა.

ექიმი მიხვდა ლენას გულის ტკივილს, მოსწონს ის და ეხვეწება დასტოვოს ვლადიმერი და მას გაჰყვეს—ლენას სული აღარავის იკარებს—მას სიკვდილი ენატრება. „რა კარგი იყო, როცა ძონძებს ქვეშ ყვაოდა გული“, ამბობს ლენა და იგონებს წარსულ სიყვარულს, ლეოს. არსად იხსენება პიესის მთავარი კვანძი. ავტორის ზედმიწევნით აქვს ამ სიტყვებში თუ სად არის სიყვარულის გამტანობა, რომელია წმინდა შეურყვნელი და მუდმივი სიყვარული. და აქ გერგესელი მუშის ძონძებს აკუთვნებს პირველობას, რაც პროლეტარულ ხელოვნების სრული გამართლებაა.

და იმ დროს, როცა ლენა წარსულის მოგონებაშია, უეცრად გაჩნდება ლეო, რომელიც მამას სიკვდილს ატყობინებს.

მშობლიური არსების დაღუპვა ლენას დაწყლულებულ გულს კიდევ ერთხელ დასერავს და ფარდა ეშვება.

პიესა სერიოზულ დადგმას მოითხოვს, ტიპები დაკვირვებულ განსახიერებას და ამ მხრივ 13 აპრილის დადგმამ ვერ დაგვაკმაყოფილა. ს. რომანიშვილის მეტს ავტორის სული ვერ გაუგოთ—ვლადიმერი მეორე დადგმას, მაგრამ შეგნებულს, ლეოს აღზრდილი დონქიშოტ უფრო გავდა ვიდრე მუშას. მუშის სულთან ახლოს იყო თავდგირიძე.

ხელოვანი.

გარბიან მენშევიკური პარტიიდან

ტრამვაის ცენტრალური ელექტრონის სადგური

16 აპრილს შესდგა ზემო აღნიშნულ სადგურის მუშათა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 60 ამხანაგი. დღის წესრიგში იდგა საკითხი მენშევიკების პარტიის გახრწნის შესახებ. მოხსენებლად გამოვიდნენ ამხანაგი: ნაზაროვი—რუსულ ენაზე და ამხ. კორიძე—ქართულზე.

მომხსენებლები კრებას აცნობენ, რომ 1903 წელს, როდესაც ს. დ. პარტიის ერთი ნაწილი, უმრავლესობა წავიდა ამხ. ლენინისაკენ და უმცირესობა მარტოვის მხარეზე გადავიდა, მას შემდეგ მენშევიკების პარტია შეიქნა წვრილ-მეშჩანურ ბურჟუაზიული. იმპერიალისტური ომის დროს მენშევიკებს უმრავლესობამ ხმა მისცა სამხედრო სესხს, რათა გაგრძელებულიყო ომი. თებერვლის რევოლიუციის დროს მენშევიკებმა გაყიდეს მუშათა კლასი და მუშაობდენ ერთად ბურჟუაზიასთან. აილეთ რას აკეთებდენ ამიერ-კავკასიაში მენშევიკები, ისინი სთესდენ ნაციონალურ შუღლს, იყო მუდმივი ომი, სადაც ნადგურდებოდა მუშები და გლეხები. ჩვენ კი, კომუნისტებმა, მოუღეთ ბოლო ამ მტრობას.

შემდეგში ამხანაგი ნაზაროვი ლაპარაკობს იმ მდგომარეობაზე, რომელსაც ადგილი აქვს ევროპაში. ამხ. ნაზაროვი და კორიძე მოუწოდებენ მენშევიკ მუშებს, რომლებიც ბრმათ მიდიოდენ [illegible] ერთათ, მიატოვონ მას თავი და იბრძოლონ სოციალისტური რევოლიუციისათვის. ჩვენ ძალით არავის ვეძახით და არ ვითრევთ. თუ გულწრფელი მუშა მოინდომებს ჩვენთან მუშაობას, გზა ხსნილია. აქვე იქნა წაკითხული სია იმ ამხანაგებისა, რომლებიც სტოვებენ გამყიდველ მენშევიკურ პარტიას აგრეთვე იქნა მიღებული მათ მიერ შედგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხანაგ ნაზაროვისა და კორიძის, მენშევიკების პარტიის გახრწნის შესახებ, ჩვენ, ძველი წევრები მენშევიკური პარტიისა, მუშა-მოსამსახურეები ტრამვაის ცენტრალურ ელექტრონის სადგურისა, ხმა მაღლა ვაცხადებთ მუშათა კლასის წინაშე, რომ ამის შემდეგ არავითარი საერთო არ გვექნება მენშევიკურ პარტიასთან და სრულებით ვუთანაგრძნობთ მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას. მოუწოდებთ ყველა პატიოსან მუშებს, დასტოვონ პარტია მენშევიკებისა და ამოუდგნენ გვერდში პროლეტარულ კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას.

1. ხულაძე ერ. ილიას ძე	პარტ. წევრი	1905 წ.
2. გოგიძე ილიკო მიხეილის ძე	„	1905 წ.
3. ტყლიაშვილი ალ. გრიგ.	„	1905 წ.
4. ზერიაშვილი ნიკო ნარიმანის ძე		1905 წ.
5. კერვალიშვილი დავით ალექსის ძე		1907 წ.
6. კურტაძე ვანო მამუკასძე		1917 წ.
7. მჭედლიშვილი ალე ს.		1918 წ.
8. ზერიაშვილი ვანო ნარიმანის ძე		1918 წ.
9. ჯავახიშვილი შალვა ლევანის ძე		1918 წ.
10. ჩელიძე ნიკალაი სპირიდონის ძე		1918 წ.
11. მე-პარიანი ნიკოლაი		1919 წ.
12 მენაბდე ვ. ზ.		1919 წ.
13 შ ლ ჟ. ხ.	„	1919 წ.

რუსული აკადემიური დრამა.

პოტაპენკოს კომედია

„ანაფორა“ (ряса)

რუსულმა აკადემიურმა დრამის თეატრმა თავის რეპერტუარში შეიტანა პოტაპენკოს პიესა „ანაფორა“ რომელიც გვიხატავს რევოლიუციის წინა ეპოქის რუსულ სამღვდელოების ყოფა-ცხოვრებას. ეს პიესა დიდხანს იყო აკრძალული. ყოფილი მთავრობა დიდის სიფრთხილით მალავდა რუსული სამღვდელოების კულისების იქითა ცხოვრებას, რომლებიც ერთ ერთი საუკეთესო ბოძთაგანი იყო აწ უკვე დანარცხებულ თვითმპყრობელობისა.

რევოლიუციამ გამოააშკარავა ბევრი უარყოფითი მხარეები ძველი რეჟიმისა და დაანახვა ხალხს სასულიერო წოდების ნამდვილი ფიზიონომია, ამ ტიპიური ანაფორის „ჩინოვნიკების“ რომლებიც თავის შინაურ ყოფა-ცხოვრებაში გვევლინებოდენ მეტათ უარყოფით ზნეობის ადამიანებათ, და ძლიერ ვიწრო ეგოისტებათ. მათი ცხოვრების მიზანი არ სცილდებოდა პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვას. თბილი შემოსავლიანი ადგილისთვის ეს ერთგული მსახურნი დაცემული აბსოლიუტიზმისა იყვნენ მორჩილებაში მაშინდელ უმაღლეს „რანგის“ „ჩინოვნიკებისაგან“: ეპისკოპოსების და სხვათაგან—ისინი იყვნენ მონურ დამოკიდებულებაში,—პროტესტის უფლებას მოკლებულნი, მაგრამ მთავრობა ითმენდა მათ, ვინაიდან სასულიერო წოდების საშუალებით გავლენას ახდენდა ფართო საზოგადოებრივ მასებზე და სტოვებდა მათ სიბნელეში და მონობაში. პოტაპენკო საუცხოვოთ იცნობს ამ ცხოვრებას. მაყურებლის წინაშე იშლება მთელი რიგი სურათებისა რუსული სამღვდელოების ყოფა-ცხოვრებიდან. პიესა დაწერილია ძლიერ ნათლად, ცოცხლათ და ფერადებით. ფაბულა და განვითარება პიესისა განსაკუთრებულ ინტერესს არ შეიცავს, მაგრამ ტიპები ძლიერ ნათელი და ცოცხალია. პიესის ენა ახასიათებს ეპოქის ყოფა-ცხოვრებას ძლიერ სწორათ.

ეპისკოპოსები თავისი „ბლაღოჩინების“ საშუალებით ერეოდენ მღვდლების კერძო ცხოვრებაში და შლიდენ ამა თუ იმ სასულიერო წოდების წარმომადგენლის ოჯახს—ვინ იცის რა მიზნისათვის. სისტემა მაკიაველისაა—„ზნეობის სიწმინდის შენახვისათვის“—დაშლა მეფის რეჟიმის მორჩილ და ერთგულ მსახურთა ცხოვრებისა. ხომ უპასუხისმგებლო ძველი მთავრობის ჩვეულებრივი ხერხი იყო, რომელსაც ლოზუნგათ ჰქონდა მაკიაველიზმის სისტემა „divide et impera“. პიესა საუცხოვოთ დამუშავებულია, როლები განაწილებულია კარგათ, მოქმედება მიდის ცოცხლად. მოქმედ პირთაგან აღსანიშნავია სმირნოვის ქალი, რომელმაც დაგვიხატა „ფუფოდიას“ მშვენიერი ტიპი. თითოეული მისი გამოსვლა სცენაზე იწვევს მხიარულ განწყობილებას აუდიტორიაში. კარგია ნიროვი ძველ დამსახურებულ მღვდლის როლში. კარგია ბრიანსკიც ღვთის-მეტყველის როლში, რომლის ცხოვრების ერთადერთი მიზანია ფულებისა და ცხოვრების სხვა სიკეთეთა მოგროვება. ნაკლებ დამაკმაყოფილებელია მღვდელ ვალენტინის როლში დევიდოვსკი—მე არ მომწონს მისი არც გრიმი და არც როლის გაგება. ლოთი მღვდლის ტიპიური სახე მოგვცა კრუჩინინმა. მაგრამ ყველაზე უკეთესია მოხუცი დიაკონის როლში სმირნოვი—დიაკონ ადრიანის, რომ უეჭველ სასაცილოა არის და საცოდავიც.

ვაქცევთ ადმინისტრაციის ყურადღებას ძლიერ გრძელ ანტრაქტებზე.

მუსიკოსი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. მუშა-კორესპონდენტებს:

გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ 22 აპრილს, დილის ცხრა ნახევარ საათზე გვაქვს გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციის შენობაში (კრუზენშტეინის ქუჩა № 4—მე-3-ე სართული) **ჩვენი მორიგი მე-ექვსე კრება.**

ყველა ჩვენი თანამშრომელ მუშკორის დასწრება აღნიშნულ კრებაზე სავალდებულოა; თანამგრძნობ მუშების დასწრება სასურველია.

იურიდიული დახმარება.

(ამხ. მუშებს).

კითხვა: აქვს თუ არა დამქირავებელს უფლება არ მისცეს დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეს მორიგი შვებულება?

პასუხი: არ აქვს. პირიქით, ყველა სახელმწიფო, საწარმოვო დაწესებულება და საზოგადო ორგანიზაციები და კერძო პირნი ვალდებული არიან მისცენ შვებულება მუშა-მოსამსახურეთ თანახმად მათი სურვილისა და განცხადებისა, თუ კი ისინი არსებულ შრომის კანონებით განსაზღვრულ დროის განმავლობაში შეუწყვეტლად მუშაობდნენ. ამ გვარად შვებულების უფლება აქვთ: 1) ყველა იმ მუშა-მოსამსახურეთ, ვინც იმუშავა შეუწყვეტლად ხუთ-ნახევარ თვის განმავლობაში, სარგებლობს შვებულებით ორი კვირის განმავლობაში; ვინც კი იმუშავა შეუწყვეტლად თერთმეტ თვის განმავლობაში, ის სარგებლობს ერთი თვის შვებულებით.

კითხვა: ვის ეძლევა დამატებითი შვებულება?

პასუხი: დამატებითი შვებულება (არა ნაკლებ ორი კვირისა) ეძლევა იმ მუშა-მოსამსახურეთ რომელთაც უხდება მუშაობა იმისთანა წარმოებებში, სადაც შრომის პირობები მეტად მძიმე, დამქანცავი და სახიფათოც არის ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის როგორც მაგ. მაღაროებში, სტამბაში და სხვა.

კითხვა: ვინ აწესებს და ადგენს სიას იმ წარმოებათა და პროფესიებისას, რომელნიც აძლევს მომუშავეთ დამატებითი შვებულებით სარგებლობის უფლებას?

პასუხი: აღნიშნულ სიას აწესებს და ადგენს შრომის სახალხო კომისარიატი.

კითხვა: ვინ აწესებს შვებულებით სარგებლობის დროს და რიგს?

პასუხი: შვებულებით სარგებლობის დროს და რიგს—აწესებს საკონფლიქტო შემფასებელი კომისია. და სადაც ეს უკანასკნელი არ არსებობს შვებულების რიგის და დროს დაწესება ხდება ადმინისტრაციას და მუშა მოსამსახურეთა წარმომადგენლებს შორის ურთიერთ შეთანხმებით. შვებულების რიგი და დრო ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში უნდა იქნას დაწესებული და აღნუსხული თითოეულ მუშა-მოსამსახურესათვის ყოველ ახალ წლის თავზე და შვებულებით სარგებლობა უნდა სწარმოებდეს მთელ წლის განმავლობაში. (იხ. კოდ. შრ. კან. მუხ. 114, 115, 117, 118, 156)

თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატი“

ამა წლის 21—აპრილს თუთუნის ქარხანა „პროლეტარი“-ში მოხდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღიურ წესრიგში იდგა ორი საყურადღებო საკითხი:

1) ლენის მუშების დახვრეტა 1912 წ. 4 აპრილში და პოლიტიკური გახრწნა მენშევიზმისა. პირველ საკითხზე მომხსენებლად გამოვიდა ამხან. ეკატერინა მიხაილოვისა, რომელმაც მოკლეთ და კმაყოფით განუმარტა ჩვენ მუშებს ლენის მუშების ის აუტანელი შრომის პირობები—ბნელს და ნესტიან მაღაროებში რაც იძულებული ყო ისინი გამხეცებულ ნიკოლოზის ყაზახ რუსების ტყვიის მსხვერპლათ შექმნილიყვნენ ლენის მუშები მოითხოვდნენ თავიანთ მწარე ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ ისინი დაეცნენ ბრძოლის ველზე, რითაც სხვათა შორის მათ მისცეს დიდებული მაგალითი დანარჩენ მუშებს, რომ შემდეგში ჩვენ მათი მაგალითისთვის მიგვებაძა და განგვეგრძო დაწყებული ბრძოლა მომავალ რევოლიუციის შესახვედრად, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი რუსეთის პროლეტარიატის მიერ 1917 წელში.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვარდიანცმა—რომელმაც საკმაოდ ცოცხალი საბუთებით დაუმტკიცა მუშებს მენშევიკურ პარტიის პოლიტიკური და ზნეობრივი გახრწნა, რასაც ცხადად ადასტურებენ ყოველ დღიურად ადგილობრივი გაზეთები, სადაც ასობით იბეჭდება სხვა და სხვა გვარი ხასიათის განცხადებები ყოფილ მენშევიკებისა.

ორივე მომხსენებელი მუშებმა ტაშით დააჯილდოვეს და მათი მოხსენების გამო შესაფერისი რეზოლიუციაც გამოიტანეს.

მუშ-კორ. ალ. ბ—შვილი.

მთლიანი მუშკოპის ელექტრო-სადგურის მუშები

ამ მუშების მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებელია ყოველმხრივ. თითოეული მუშა აქ ღებულობს ჯამაგირს თვეში ორჯერ:—1—15 რიცხვებში. აქ არ ყოფილა მაგალითი რომ მუშა გამხდარიყვეს ოდესმე მსხვერპლი შრომის ექსპლოატაციის. ნამდვილად არის დაცული ნორმალური სამუშაო დრო,—8 საათი განსაზღვრული. ხსენებულ მუშებს, როგორც სპეცებს თავის დანიშნულებისა და თანამდებობისათვის, აქვთ მიცემული სპეციალური ტანისამოსი; მათ აქვთ თავის დროზე საექიმო დახმარება; სადგურში არის დაცული ჰიგიენური პირობები: ყველგან სუფევს იშვიათი სისუფთავე და სიწმინდე თვით მუშებიც მაღლა დგანან კულტურულად; მათ აქვთ გამოწერილი გაზეთები წერა-კითხვა ყველამ იცის სარგებლობენ ბიბლიოთეკებით, წინედ არ ქონიათ საკუთარი ბიბლიოთეკა აქაურ მუშებს, მაგრამ ამიერიდან არც ამ ნაკლს ექნება ადგილი ვინაიდან ყველაფერი, რაც მის გასახსნელად საჭიროა, უკვე დამზადებულია. მუშებს ახლო მომავალში ექნებათ საკუთარი ბიბლიოთეკაც.

სადგურის ადმინისტრაციას, მხოლოდ იმაზე უნდა მიუთითოთ, რომ საჭიროა მორიგი მუშებისათვის ერთი ბინის სადგურთან მოწყობა ახლო მომავალში.

ინფ. კორ. ძველთაგანი.

„დაწესებულება თუ საინვალიდო სახლი“.

(იხ. გაზ. „კომუნისტი“ ს № 74)

საპასუხო წერილი.

გაზით „კომუნისტი“-ს № 74-ში მოთავსებული იყო წერილი შემდეგი სათაურით: „დაწესებულება თუ საინვალიდო სახლი“. ინფ. კორ. ვ—ევისა, სადაც ის პირადად მე, მეორე განყოფილების უფროსს, მიწოდებს ძველ მონარქისტს და ხნით მოხუცებულს. არც ერთი და არც მეორე ცნობა სიმართლეს არ შეიცავს. მე არა ვარ მონარქისტი და არ ვყოფილვარ ასეთი არასოდეს. შთამომავლობით მე ვეკუთვნი გლეხს. და ბევრი შევიწროება გადამიტანია თვითმპყრობელობის დროს. 1905 წელს მე ვიყავი ერევანში და მივიღე მონაწილეობა ბრძოლაში ცარიზმის წინააღმდეგ, რასაც დაამტკიცებენ მაშინ იქ მყოფნი—საქონლის სადგურის მოლარე ვლადიმერ ჯავახიშვილი მანტიორი მამაცაშვილი და სხვებიც. ჩემს არა ერთხელ გამოსვლას თვითმპყრობელობის საწინააღმდეგოდ მოჰყვა დამსჯელი რაზმის მიერ ჩემი დაკავება და დატუსაღება ალექსანდროპოლის სამხედრო ციხეში, სადაც, სხვათა შორის, იყვნენ: ჯინორიძე, პავლოვსკი, ლეონტიევი, ვარლამოვი და სხვები. ციხიდან გამომიშვეს 45 დღის შემდეგ. უსაქმოდ ვიარე 3 თვე, და მერე მიმიღეს ისევ სამსახურში, მხოლოდ დამნიშნეს ასაქცევზე ბეიუკკიასიკში. მე აქაც ვიშოვე საშუალება ბრძოლის იქაურ მუშების მომზადებით, რომელთანაც გამუდმებული საუბარი მქონდა და რომელთაც დაახლოვებით 20—55 კაცს, ვასწავლე წერა-კითხვა. ქაღალდს ვაძლევდი მათ სადგურის ძველ საქმეებიდან, მელანს კი ვუმზადებდი დუბლის სალებავიდან. ეტყობა ვ—ევი მე არ მიცნობს, და მას დაუწერია ის, რაც ვიღაცამ პირადი მოსაზრებით მას შთააგონა.

მეორე ბრალდებას კი უფრო მოკლედ შევეხები. რამდენად მე მოხუცი ვარ და უნარ-დაკარგული, ამას ამართლებს თვით ცოცხალი საქმე.

ვთხოვ რკინის გზის პროფ.-კავშირს დამიდასტუროს ჩემი შრომის უნარიანობა და მუყაითობა.

სამსახურის ადგილიდან მე ვცხოვრობ დაახლოვებით 2 ვერსის სიშორეზე. მე თოვლიან, წვიმიან, ტალახიან ამინდში დავიარები სამსახურში, სადაც ვმუშაობ არა ნაკლებ 13—14 საათისა დღეში, ვბრუნდები სახლში ბევრჯერ 1—2 საათზე ღამისა, და ბევრჯერ კიდევ მიხდება ღამითვე მოსვლა სამსახურში, რაიმე შემთხვევის გამო გამოძახებულს. აქედან ცხადია, რომ მე სავსებით ჯანსაღი და ღონით აღსავსე თანამშრომელი ვარ, უნარი მე არა მაქვს დაკარგული.

მე სამსახურს არასდროს არ დავკლებივარ და განსაკუთრებით ამ ორ უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში არ ყოფილა მაგალითი, რომ რაიმე მიზეზების გამო მე სამსახურში არ გამოცხადებულვიყავი და არ მემუშავა. ამიტომ ვაძლევ წინადადებას მოქალაქე ვ—ევს გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში სიმართლის გამოსაამშკარავებლად.

რაც შეეხება ჩემ თანაშემწეთ, ვაცხადებ, რომ მე არა მყავს იმისთანა თანაშემწე, რომელიც ყრუ, მუნჯი „ძალიან“ მოხუცებული და „ძლივს“ მოსიარულე იყოს. ორივე თანაშემწენი, სპეც-განაკვეთ ჯამაგირს იღებენ და ერთგულათ, ბეჯითად ასრულებენ თავიანთ საქმეს.

რკინის გზის მოძრაობის მეორე განყოფილების უფროსი **ლ. მაღრაძე.**

მუშათა ქრონიკა

შრომის ინსპექტორის გასამართლება.

მე-4 რაიონის შრომის ინსტრუქტორმა სალიაშვილმა პასუხისგებაში მისცა ფეხსაცმელების სახელოსნოს პატრონი **სარქის ოსეპიანცი,** რომელმაც სამსახურიდან დაითხოვა თავის შეგირდი, სტეპანიანი, მას შემდეგ. როცა მე 3 უბნის კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა წინადადება მისცა მას საავათმყოფო კასაში ბავშვის დასაზღვევი გადასახადი შეეტანა. შრომის ინსპექტორმა მისცა ოსეპიანცს კატეგორიული წინადადება ბავშვის დაბრუნების შესახებ თავის სამსახურში, რაზე ოსეპიანცმა გადაჭრილი უარით უპასუხა.

ა | კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამმართველოს საკონფლიქტო განყოფილებისაგან

ა | კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამ. საკონფლიქტო განყოფილება ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ საკონფლიქტო კომისიაში განსახილველად საჩივრის შემომტანი პირები ვალდებული არიან განცხადებაში სწორათ აღნიშნონ როგორც თავის თავის ისე მოპასუხის და მოწმეების მისამართი, წინააღმდეგ შემთხვევაში უმისამართო შემოსული საქმე არ იქნება განხილული და ერთი თვის შემდეგ ჩაითვლება მოსპობილათ.

ზემოხსენებულის გამო ქვემოთ—ჩამოთვლილი საქმეები ერთი კვირის შემდეგ დღიდან გაზეთში გამოქვეყნებისა იქნება მოსპობილი.

1. საქმე მარტიროსოვისა ავეჯეულობის ქარხანასთან 2. საქმე ალ. ნოზიევისა—მაილოვთან. 3. საქმე ლებედინსკის ა | კ. რკინის გზის სამმართველოსთან. 4. საქმე იარალოვის, რაშკოვის და ერამინოვის—პარტშკოლასთან. 5. საქმე გრიგორიევის სტეფანიანცთან. 6 საქმე მაშადი-ზეინალ აბაზოვის—სადიკოვთან 7. საქმე დალაიტის—მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატ 8. საქმე პარულოვის. 9. საქმე მალიანის და თულოიანის. 10. საქმე არუთინოვის 11. საქმე ეგიშეფანიევის 12. საქმე ბუდაგოვის და მიხაილოვისა წალკის აღმასკომთან 13. საქმე სალაკიძე და ედიგაროვისა.

საკონფლიქტო განყ. მდივანი

ჯილაური.

ბიბლიოგრაფია

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი

„კომუნისტური მანიფესტი“—ავტორთა და ფ. მახარაძის წინასიტყვაობებით. და რიაზანოვის კომენტარიებით. გამომცემლობა: **„წითელი წიგნი“. თბილისი 1923 წ.**

ამას წინათ „წითელმა წიგნმა“ საქ. კომ. პარტიის ცენ. კომ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების დავალებით გამოსცა ქართულ ენაზე „კომუნისტური მანიფესტი“, რომელშიაც მოთავსებული იყო თვით მანიფესტის ტექსტის გარდა „კომუნიზმის პრინციპები“ და სხვა მასალები, რომლებიც აშუქებენ 1840—50 წლების ვითარებას ევროპაში და იმ პირობებს, რამაც შესაძლებელი გახადა „მანიფესტის“ შედგენა და გამოცემა.

ამავე სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დავალებით „წითელმა წიგნმა“ ცალკე ბროშიურათ გამოსცა კ. მარქსის და ფრ. ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“ ავტორთა და ფ. მახარაძის წინასიტყვაობებით.

უნდა ითქვას, რომ ეს მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. მით უმეტეს, რომ იგი პირდაპირ გერმანულიდან არის გადმოთარგმნილი.

თქმა არ უნდა, რომ „კომუნისტური მანიფესტი“ უდიდესი განძია მუშათა კლასისათვის, „ეს,—როგორც ამბობს ამხ. ფ მახარაძე მის წინასიტყვაობაში,—მუშათა კლასის **სახარებაა.** მან არა თუ ამცნო ყველა ქვეყნის და ყველა ეროვნების მუშებს იმათი სრული გამარჯვების და განთავისუფლების იდეა, არამედ მან ისტორიულად და ეკონომიურად დაასაბუთა ამ გამარჯვების და განთავისუფლების აუცილებლობა, ე. ი. მან დაუდო მკვიდრი და შეურყეველი საძირკველი **მეცნიერულ სოციალიზმის,** ანუ კომუნიზმის განხორციელების საქმეს“.

აქედან ცხადია თუ რა ღირებულება უნდა ჰქონდეს მას სოციალისტურ მოძრაობის განვითარებისათვის, როგორ დაუფასებელ იარაღს უნდა წარმოადგენდეს ის მოწინავე მუშებისათვის ჩამორჩენილ წრეების გამოფხიზლებისა და გათვითცნობიერებისათვის. „ამიტომ,—ამბობს ფ. მახარაძე,—ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებული მუშა, ქალაქის მუშა იქნება იგი თუ სოფლის, ვალდებულია ახლო გაეცნოს და დაბეჯითებით შეისწავლოს ეს უდიდესი განძი საერთაშორისო სოციალისტური ლიტერატურისა“.

ასეთია მნიშვნელობა და ღირებულება თვით „მანიფესტისა“ მიუხედავათ იმისა, რომ მისი პირველათ გამოცემის შემდეგ განვლო ნახევარზე მეტმა საუკუნემ.

აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი დიდი ნაკლი „მანიფესტის“ ამ გამოცემისა, მიუხედავათ იმისა, რომ იგი „წითელი წიგნის“ მიერ მეტად სუფთად და ლამაზათაა გამოცემული.

როგორც სათაურიდან ვტყობილობთ, ამ გამოცემას დართული უნდა ჰქონდეს „ავტორთა და ფ. მახარაძის წინასიტყვაობანი“. და შიგ ბროშიურაში მართლაც ვხედავთ „ავტორთა (ე. ი. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის) და ფ. მახარაძის წინასიტყვაობებს“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ შიგ არაა მოთავსებული ავტორთა ყველა წინასიტყვაობანი, რომლებიც დართული ჰქონდა პირველ გამოცემას (ერთი თვის უკან) და რიაზანოვის შენიშვნებითა და შესავალით.

აქ არის მოთავსებული შემდეგი წინასიტყვაობანი: 1) წინასიტყვაობა 1872 წ. გერმანულ გამოცემისათვის (კარლ მარქსი და ფრ. ენგელსი; ლონდონი 24 ივნისი 1872 წ). 2) წინასიტყვაობა 1883 წ. გერმანულ გამოცემისათვის (ფ. ენგელსი ლონდონი, 28 ივნისი 1883 წ), 3) წინასიტყვაობა 1890 წ. გერმანულ გამოცემისათვის (ფ. ენგელსი 1882 წ. 21 იანვარი) და 4) იმავე წლის წინასიტყვაობა ახალ გამოცემისათვის (1 მაისი 1890 წ), მაგრამ არაა მოთავსებული ფრ. ენგელსის წინასიტყვაობა იტალიურ და პოლონურ გამოცემისათვის, რომლებიც შინაარსის მხრივ მეტად საინტერესო და ღირსშესანიშნავია. ასე რომ ზოგიერთ ამხანაგს ახლაც შეუძლია იპოვოს იქ პასუხი სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვებზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება უბრალო ტეხნიკური დაუდევრობის შედეგი უნდა იყოს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში პირდაპირ წარმოუდგენელია ისეთი პატარა წინასიტყვაობების არ დაბეჭდვა, როგორიცაა ეს დასახელებულ წინასიტყვაობები ფრიდრიხ ენგელსისა, მით უმეტეს, რომ ისინი მხოლოდ ახლა დაიბეჭდა პირველათ რუსულ ენაზე და ქართულზედაც უკვე მზამზარეული თარგმანი მოგვეპოვება.

სხვათა შორის საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ აქ გაკვრით კიდევ შემდეგი: ამ „მანიფესტს“ ბოლოში დართული აქვს სია იმ წიგნებისა და ბროშიურების, რომლებიც დაბეჭდილია და იბეჭდება. პოლიტიკურ-ეკონომიური განყოფილებაში (Seria A) ვკითხულობთ: იბეჭდება, № 10 **სტუჩკა.** „სწავლება რ. ს ფ. ს. რ. სახელმწიფოსა და კონსტიტუციაზე“ აქ სიტყვა „**სწავლებათ**“ გადათარგმნილია რუსული სიტყვა „უჩენიე“, რაც სრულებით არაა სწორი და დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. სიტყვა „უჩენიე“ ქართულათ ნიშნავს „**სწავლას**“ და არა „**სწავლებას**“. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ახლოა შინაარსის მხრივ „უჩება“-სთან და არა „უჩენიე“-სთან. ასე რომ ეს უეჭველათ შესწორებულ უნდა იქნას, სანამ დასახელებული წიგნაკი არ დაბეჭდილა და გასასყიდათ არ გამოსულა.

კ. კომუნაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილება № 3.

15 აპრილი 1923 წელი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 7 აპრილის დეკრეტის განმარტებისათვის ამ.-კავ. ს. ფ. ს. რ—ის საზღვრებიდან საზღვარ-გარეთ საქონლების გატან-შემოტანის წესის შესახებ, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი საყოველთაოთ აცხადებს:

გატანისათვის.

სია საზღვარ გარეთიდან ამ.-კ. ს. ფ. ს. რ—ის საზღვრებში ლიცენზიის საფუძველზე, მაგრამ ლიცენზიურ გადასახადების გარეშე შემოსატან ლიცენზიურ საქონლებისა.

1) ყველა უბაჟო საქონლები შემოტანის ტარიფით.

შენიშვნა. ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ბაჟიანი საქონლები თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადისაგან, ისინი იმავე დროს თავისუფლდებიან ლიცენზიურ გადასახადისაგანაც.

2) მედიკამენტები.
3) სამედიკო ხელსაწყო და აპარატები.
4) ქირურგიულ კაბინეტის ნივთები.
5) სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები.
6) შაბიამანი.
7) გოგირდის ფერი ([illegible]).
8) სოფლის მეურნეობის მავნეებთან ბრძოლისათვის საჭირო აპარატები და მასალა.
9) შინაური პირუტყვი და ცხენები.

შენიშვნა: მე-2, 3 და 4 პუნქტების ნომენკლატურა—წესდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. მე 6 და მე-8 პუნქტების—მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

გატანისათვის

I სია ა.-კ. ს. ფ. ს. რ—ის საზღვრებიდან სპარსეთში გასატან მონოპოლიურ საქონლებისა.

1) შაქარი.
2) აბრეშუმის თესლი.
3) ნავთი და ნავთის პროდუქტები.

II სია გატანისათვის მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის ლიცენზიებით გასატანათ ნებადართულ საქონლებისა:

1) ყოველგვარი პური და ხორბალი, ბრინჯი, მუხუდო, ლობიო, ცერცვი და „ჩეჩევიცა“, კარტოფილი, ყოველგვარი ფქვილი და ბურღული . . . . . 1 მუხლი
2) აბრეშუმის პარკი (მთელი) 62 „
3) აბრეშუმის თესლი
4) ძირტკბილა . . . 41 „
5) ბზა ყოველ სახის . . 36 „
6) თამბაქო ფურცლებში . 13 „
7) სპილენძი ([illegible])—
8) ზეთოვან მცენარეთა თესლი: კანაფის, მზესუმზირას, ნაზშირისა, სელისა და სხვ. . 38 „

სია იმ საქონლების, რომელთა გატანა ამიერ-კავკასიიდან ევროპის საზღვრით ნებადართულია ლიცენზიების გარეშე.

(თავისუფლათ, წინასწარ ნებართვის გარეშე)

1) ბოსტნეული ყოველგვარი 4 მუხ. 1 პუნ.
2) საზამთრო და ნესვი ნედლათ 4 „ 2 „
3) ხილეული ყოველგვარი 6 „ 6 „
4) თხილი და კაკალი (გარდა ნუშისა და ფისტაშკებისა)
5) ჩაი ყოველგვარი.
6) სპილენძი ყოველგვარი.
7) სვია.
8) სპირტი ყოველგვარი და ხორბლის ღვინო . . . 16 მუხლი
9) ღვინო ყურძნისა და ხილის 17 „
10) ფრინველი მოკლული ყოველგვარი . . . 19 „
11) ყველი ყოველგვარი . 20 „
12) ერბო ძროხისა და ცხვრის 21 „
13) კვერცხი . . . 22 „
14) თევზი ყოველგვარი და ყოველ ვარ სახით . . . 23 „
15) წმინდა ჯიშებისაგან მიღებული ხიზილალა . . 23 მ. 2 პ.
16) ფრინველი ცოცხალი ყოველგვარი . . 25 მ. 8 პ.
17) ფოსფორიტები როგორც ფხვნილი, აგრეთვე დაუფხვნელი; ძვალი ყოველგვარი და ძვლის ფხვნილი, ძვლის ნახშირი . . 25 „
18) რქა ყოველგვარი, ჩლიქი და სხვა ნაწილები პირუტყვის, საკანგებოთ აღნიშნული პროდუქტები . . . 29 „
19) მინერალური წყლები, ნატურალური და ხელოვნური.
20) ხის ნახშირი . . . 43 „
21) ხის წებო . . . 45 „
22) კუპრი ([illegible]) . . . 47 „
23) ჩვარი და ნაკუწები ყოველგვარი . . . 49 „

შენიშვნა 1: მუხლები აღნიშნულია თანახმად 1922 წლის 15 ივლისს დამტკიცებულ გასატან ვაჭრობის საბაჟო ტარიფისა.

ეს დადგენილება ძალაში შედის 1923 წლის 11 აპრილიდან.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ივანიანი.

საქმეთა მმართველი მორჩაკოვი.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პროფკავშირის წევრებისათვის „მაკბეტი“.

— **მუშა მსახიობ ქალის სოფიო გოგაშვილის საღამო.** კვირას, 22 აპრილს ხაძალადევის თეატრში გაიმართება საღამო დამსახურებულ მუშა მსახიობ ქალის სოფიო გოგაშვილის საპატივცემლოდ მისი 20 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პროფკავშირის წევრებისათვის „გუგენოტები“.

პროვინციაში

სამტრედია

შაბათს, 14 აპრილს მუსიკალურ სასწავლებლის დარბაზში ადგილობრივ უპარტიო ქალთა ორგანიზაციის მიერ იქნა გამართული შინაარსიანი საღამო „საბავშვო ბაღის“ ფონდის გასაძლიერებლათ. პირველათ სიტყვა სთქვა ექ. ჟორდანიამ, რომელმაც განმარტა ბავშვთა რიგიან აღზრდის მნიშვნელობა, შეეხო საბავშვო ბაღების წარმოშობას, მის თანდათან გაფართოვებას ევროპაში და იმ შედეგებს, რომელნიც მოიტანა საბავშვო ბაღმა ბავშვთა აღზრდის საქმეში. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია შეაფერი ყურადღება ბავშვთა აღზრდას, მრავალი უპატრონო ბავშვები დაწანწალებენ ქუჩებში, რომლებსაც თავშესაფარი არა აქვთ, მრავალ ღარიბ ოჯახებს არ შეუძლიათ აღზარდონ ბავშვები, და ისინი იზრდებიან მახინჯებათ. უპატრონო და ღარიბი ბავშვები უნდა იქნან მოთავსებულნი საბავშო ბაღებში, სადაც მათ ექნებათ მშობლიური მოვლა-პატრონობა და მიეცემათ შესაფერი აღზრდა. მთავრობა დიდ დახმარებას უწევს ასეთ ბაღების დაარსებას, საჭიროა ჩვენც მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა ამ ახალ ორგანიზაციის დაარსების საქმეში.

ამის შემდეგ დადგეს შალ. დადიანის პიესა „შვილი თუ საყვარელი“, რომელიც კარგათ იქნა შესრულებული... ბოლოს იყო სხვა და სხვა გასართობები, რის შემდეგ საზოგადოება კმაყოფილებით დაიშალა..

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს „საბავშო ბაღი“ სამტრედიისათვის ახალი მოვლენაა. მის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის ქალების ორგანიზაციას. ჩვენ იმედი გვაქვს, იმ შემოსავლით, რომელიც იყო ამ „საღამოდან“, თავს მოაბამენ და ხორცს შეასხამენ ამ საქმეს.

პარტახტიანი ტიფი მთელს რაიონში ძლიერ გავრცელდა. არის ადამიანების მსხვერპლიც...

—მიწის ახალი რეფორმა მთელს რაიონში გატარებულათ უნდა ჩაითვალოს, რითაც მშრომელი გლეხობა დიდათ კმაყოფილია.

სან-კანი.

სუჯუნის თემი (სენაკის მაზრა)

ეს თემი მდებარეობს რიონის განაპირას და შეიცავს შვიდს საზოგადოებას, სცხოვრობენ დაახლოვებით 2.000 მეტი კომლი მოსახლე.

წყალდიდობის გამო ამ თემის გლეხობა განიცდიდა ყოველ წლიურად დიდს უბედურებას; რიონი გადმოდიოდა გაზაფხულის და ზაფხულის თვეებში 2—3-ჯერ და ანადგურებდა ქირნახულს. წრეულს, წყალდიდობის დროს სრულებით გაქარწყლა მოსავალი წყალმა თან წაიღო როგორც მთელი წლის სარჩო, აგრეთვე იმსხვერპლა ბევრი ოთხფეხა პირუტყვიც, მთავრობა რომ არ მიშველებოდა, გლეხობა დარჩებოდა უმწეო მდგომარეობაში.

დადგა გაზაფხული თუ არა, გლეხობა უნდა მოკიდებოდა ყანის მუშაობას, როგორიცაა მოხვნა, მოთხრა და სხვა.. მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ რიონის ძველი დამბა წყალმა წაიღო და ახალის გამკეთებელი კაცი არ იყო. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ თემის გლეხობის უძღებოდათ რამოდენიმე ათი წლობით რიონის წყალდიდობასთან ბრძოლა, დამბის გაკეთებით, ხან შეკეთებით და სხვა. წრეულს კი, რამოდენიმე წლობით ნაკეთები დამბა წყალმა გაიტაცა და ახალის გაკეთების იმედი ცოტა იყო, გლეხობას მოელოდა და სიმშილით სიკვდილი.

გლეხობა ამბობდა: „თუ გვიხსნის ჩვენი მთავრობა, სხვაგან ხსნა არ არისო“ ის იმედით უყურებდა მუშურ-გლეხურ მთავრობას. უკანასკნელმაც გაამართლა მისი მოლოდინი. ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოსა და პარტ-ამხანაგების ხელმძღვანელობით გამოვიდნენ დამბის სამუშაოზე ათას შვიდასზე მეტი მუშა ბარებით, ლაფათქებით, თოხებით, ნასილკებით და სხვა სამუშაო საჭირო იარაღებით. ოთხი დღის მუშაობით 7 ვერსის მანძილზე იქმნა გაყვანილი დამბა დაწყებული ნაესაკოვის საზღვრიდან ივანენაშენამდე ს. დამბის სიმაღლე არის ერთი საჟენი და სიგანე ორი საჟენი.

წითელ დროშებით და სამუშაო იარაღებით ათას შვიდასი გლეხობა დარაზმულნი სიმღერით რომ მიექანებოდა სამუშაოდ—არ ვიცი თუ მუშის და შრომის მოყვარული ადამიანის თვალი უკეთეს რამეს თუ ნახავს. სამუშაოს ხელს კიდებდნენ დიდის ენტუზიაზმით. საღამოზე წითელი დროშით ხელში და სიმღერით მიილტვოდნენ სახლში მოქანცულნი.

სუჯუნის თემს არ ახსოვს ასეთი ურყევი ძმური კავშირი და სიხალისით მუშაობა საერთო საქმეზე. წრეულს რიონი ვერაფერს დაგვაკლებს თუ გვალვამ ან ამინდმა არ შეუშალა ხელი გლეხობას. დამბის გაკეთება მოთავდა თუ არა, გლეხობა გავარდა მინდვრად სამუშაოდ.

გაუმარჯოს სოლიდარულ მუშაობას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

კონა.

ორულუ-ერგეტის თემი (ზუგდიდის მაზრა)

საქართველოს გასაბჭოებიდან ჩვენი თემის მშრომელი გლეხობაც ჩაება აღმშენებლობითი მუშაობაში. სხვათა შორის, გაკეთებულია ერთი ფრიად სასარგებლო საქმე ვლაპარაკობ არხის გაყვანაზე, რომლის სიგრძე უდრის 13 ვერსტს და სიგანე 6—7 არშინს.

თემის მდებარეობა ისეთია, რომ არ გადის ჩქარა მავალი მდინარე, არის მარტო უბრალო რუები და ღელეები, რომლებიც ზაფხულობით გვალვის დროს ამოშრებიან, რის გამო შინაური ცხოველები და მცხოვრებლებიც დიდ გაჭირვებას განიცდიან. ჩრდილოეთის მხრივ ს. დიდინეძით ჩამოდის კარგა მოზრდილი მდ. ჯუმი, საიდანაც გაყვანილია არხი.

ბევრი ხანია, რაც აქაურ მცხოვრებთ უნდოდათ არხის გაყვანა. მაგრამ ამის საშუალება არ მისცა მათ არც ნიკოლოზის მთავრობამ, არც მენშევიკურმა მთავრობამ. საქმე ის არის, რომ არხის გაყვანით იჩრდილებოდა აზნაურ კობახიძეების და ზოგიერთ ბობოლა გლეხების ნოყიერი მიწები, რომელთა შეწუხება არ სურდათ მეფის აგენტებს და მენშევიკებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მოგვეცა საშუალება შევდგომოდით ჩვენი დიდი ხნის ოცნებას—არხის გაყვანის განხორციელებას.

ეხლა არხის გაყვანა თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცოტაოდენ მანძილს არხისას, რომლის სრულებით დამთავრება ერთი კვირის მუშაობის საქმეა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მეზობელ თემების ამხანაგებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. არხის გაყვანის გეგმა შეიმუშავა სამაზრო აღმასკომის მიერ გაგზავნილ ტეხნიკოსმა რომელსაც ხელფასს თემი აძლევდა.

სარგებლობა მოაქვს ორივე თემისათვის (ორულე ერგეტა, დიდინეძი) მით, რომ აშრობს ჭაობიან ადგილებს და ზაფხულობით უზრუნველყოფს სუფთა მდინარის წყლით. გარდა ამისა არხზე ფიქრობენ რამოდენიმე სათემო წისქვილების აშენებას. დიდი მადლობის ღირსია ამხ. პორფირი მამფორია, რომლის თაოსნობამ და დაუღალავმა მუშაობამ ასე გამარჯვებით დააგვირგვინა დიადი აღმშენებლობითი საქმე.

კირილე მიქაია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომ. ახალგ. კავშირის ტფილისის კომიტეტი ქვემო აღნიშნულ ამხ—ბს საქ. კომ. ახ. კავშირის ტფილისის ორგანიზაციის წევრებს და კანდიდატებს—პოლონელებს და პოლონურ ენის მცოდნეთ წინადადებას აძლევს გამოცხადდენ კვირას, ა. წ. 22 აპრილს 11 საათზე დილით პოლონურ მუშათა კლუბში (ნიკოლოზის ქ. სახ. № 59). საქ კომ. ახალ. კავშირის ტფ. ორგ. წევრებისა და კანდიდატების—პოლონელებისა და პოლონურ ენის მცოდნეთა საორგანიზაციო კრებაზე.

1. ზერმან იულიანი, 2. დავიდოვიჩს სტანისლავი, 3. ვენკოვიჩი პეტრე, 4. ლიშანსკი სიგუზმუნდი, 5. ვარდენკო ადოლფი, 6. ვარდენკო ლიუდვიგ, 7. ვენცკოვიჩი ანატოლი, 8. ვ სნევ კი სერგო, 9. კრასოვსკი ალექსანდრე, 10. კორეცკი ანტონინა, 11. ზენტაკი ანდრე, 12. რიბაკ იულია, 13. ოგანეზოვი კლარა, 14. გოტრუპნიცკი იან, 15. სივიცკი კაზიმირ, 16. შლეიხეო ერაზმ. 17. კრასნიცკი მიხეილი, 18 აკოლევე გრიგოლი, 19. შმიდტ ედუარდ, 20 შმიდტ რუდოლფი, 21. ხმელიოვსკი ნიკოლოზი, 22. რადეცკი ბორისი, 23. ტრიშკო რუდოლფი, 24 იურეკ მიხეილი, 25. ბახტაძე ვასილი, 26, გეჩნერ იან.

გამოცხადება სავალდებულოა პოლონელ „კომკავშირელებისთვის“, ვინც ამ სიაში არ შესულა. ვინც არ გამოცხადდება, მიცემული იქნება პასუხისგებაში მიწვეულნი არიან კრებაზე პოლონელები—კომუნისტები და წარმომადგენლები: ამიერ-კავკასიის სარაიონო კომიტეტის რ. ახალ. კომუნ. კავშირის, ცენტრალურ კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის და საქართ. კომპარტიისა და კომ. ახალ. კავშირის მე-2 სარაიონო კომიტეტი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი შაბათს, 21 აპრილს, დილის სრულ 9 საათზე იწვევს ტფილისის ორგანიზაციის [illegible] სტატისტიკური [illegible] თათბირს. დღის წე რიგშია ძლიერ მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხები. სავალდებულოა დაუგვიანებლად გამოცხადება.

ტფილისის კომიტეტის აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილების გამგე:

ს. მულდოვიჩი.

პროფესიული.

კვირას 22 აპრილს დილის 11 საათზე საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე (ბარიატინის ქ. 5) წაიკითხება მოხსენება საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსპექტორის ი. ქუთათელაძის შემდეგ საკითხზე.

მეაბრეშუმეობის მდგომარეობა საქართველოში და მისი ნაწარმოების მსოფლიო ბაზარზე გასაღების პირობები.

დასწრება ყველასათვის თავისუფალია.

— კვირას, აპრილის 22-ს, საღამოს 7 ნახევარ საათზე, ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) ქართული სამეცნიერო საზოგადოების მორიგ კრებაზე წაკითხული იქნება მოხსენებები 1. პროფ. ა. შანიძის მიერ: „დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი ბოძებული სიგელის დასაწყისი სიტყვები“ და 2. ვენ. ჩიქობავას მიერ: „მთიულური ფონეტიკა“.

დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.

კვირას, 22 აპრილს, დღის 12 საათზე ტფ. პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (ყოფილი დიდიმთავრის ქ., № 70) შესდგება ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ინჟ ბ. ქიქინაძის მიერ შემდეგ თემაზე: „[illegible] სახელმწიფო წყალელექტრული (ჰიდროელექტრონული) სადგურები“.

განცხადებები

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 336—1—1

დღეს, 21 აპრილს,
გუგენოტები
კვირას, 22 აპრილს,
ბორის გოდუნოვი
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

გოგირდის აბანო ეხლა კაპიტალური შეკეთების შემდეგ ისევ გახსნილია.
„ფანტაზია“
ნომრები 1, 2, 3, 4.
საერთო კაცების; ახლად გაღებულია ქალების საერთო ნომერი.
1—1

რ. ს. ფ. ს. რ.
რეზინო-ტრესტის
ტფილისის განყოფილება
(სოლოლაკის ქ. № 4, ტელ. 4—86)
საბითუმო და ცალკეული ვაჭრობა
მიღებულია
დიდი პარტია
საბარგო ავტომობილების შინების, ავტო-მოტოციკლეტო საბურავების, საეკიპაჟო შინების და ტეხნიკურ რეზინებისა.
საწყობში ყოველთვის არის ტრესტის ქარხნებში დამზადებული რეზინისა და აზბესტის ყოველგვარი ნაწარმოებანი.
კრ. 338—1—1

შაბათს, 21 აპრილს, საღამოს 6 საათზე,
ტფილისის საქონლის საფონდო ბირჟის შენობაში
(სოლოლაკის ქ. № 7)
დანიშნულია
ბირჟის წევრთა საზოგადო კრება
დღის წესრიგი:
1. მოხსენება ბირჟის მოქმედების შესახებ;
2. ბირჟის შემოსავლის და გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა;
3. ბირჟის კომიტეტის ექვსი წევრის არჩევა § 14 ბირჟის წესდების თანახმად;
4. სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა;
5. მიმდინარე საკითხები.
ტფილისის ბირჟის კომიტეტი.
კრ. 337—1—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—11)

დაიკარგა ა. ა. იეშჩენკოს სახელზე ქალ. პეტროვსკის მილიციის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 561—1—1

დაიკარგა რკინის გზის დაცვის მიერ ანნა მელაძეს სახელზე 1922 წელს გაცემული პირადობის მოწმობა. 564—1—1

დაიკარგა საკომისიო მაღაზიის „ლუკსის“ კვიტანცია № 2457. ჩაითვალოს გაუქმებულად. 565—1—1

დაიკარგა სახლის დავთარი № 5027—186. კონსტანტინე დ. კვლივიშვილის სახელზე გაცემული, ჩაითვალოს გაუქმებულად. 562—1—1

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი, მოცემული სიღნაღის სამაზრო სამხედრო კომისარიატისაგან № 21325 ვარლამ იოსებ ძე ინჯგიას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 563—1—1